

კეთილსინდისიერების პრინციპის გავლენა
მოთხოვნის ხანდაზმულობაზე

რუსუდან როგავა*

შესავალი

კერძო სამართალი აღიარებს კეთილსინდისიერების პრინციპს, რომელიც აკონკრეტებს კერძო სამართლის სუბიექტის მოქმედების თავისუფლების ფარგლებს.¹ მიუხედავად განსხვავებული წარმოშობის წყაროებისა და გამოვლინებისა, დღეს კეთილსინდისიერების პრინციპი აღიარებულია როგორც ძირითად სამართლებრივ სისტემებში, ასევე, უნიფიცირებული სამართლის მიერ.²

კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება აქტუალური ხდება მაშინ, როცა პირის მოთხოვნა ან ქმედება ფორმალურად შეესაბამება მოქმედ მატერიალურ კანონმდებლობას, მაგრამ მისი განხორციელება კონკრეტულ შემთხვევაში უსამართლოა.³ შესაბამისად, მისი ფუნქცია აშკარად უსამართლო შედეგების თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს.⁴

საქართველოში, აღნიშნულს განამტკიცებს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.

კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა კეთილსინდისიერად წარმართვის ვალდებულებას, სამოქალაქო კოდექსის არაერთი ნორმა ზოგჯერ პირდაპირ ადგენს, ხოლო

* ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის დოქტორანტი.

¹ *კერესელიძე, დავით*, უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 83.

² შეად.: *Schlechtriem, Peter*, Good Faith in German Law and in International Uniform Laws Roma (February 1997), 1; სუსგ ას-528-501-2015; *კერესელიძე, დავით*, უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 84-85.

³ *კერესელიძე, დავით*, უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 84.

⁴ სუსგ ას-549-521-2015, სუსგ ას-570-541-2015; სუსგ ას-528-501-2015.

ნორმათა უმრავლესობა, მართალია, პირდაპირ არ უთითებს მასზე, მაგრამ მაინც მას ეფუძნება.⁵

მე-8 მუხლის მე-3 ნაწილში გაჟღერებული კეთილსინდისიერების ვალდებულების მნიშვნელობა განავითარა სასამართლო პრაქტიკამ, რის შედეგად, მან რეალური გამოყენება პოვა სამართლებრივი ურთიერთობების შეფასებისას. კეთილსინდისიერება მატერიალურ სამართლებრივ ნორმად გადაიქცა და სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სისტემაში გაერთიანდა, რითაც უფრო ფართო დატვირთვა შეიძინა.⁶

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული ისე, სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტი⁷.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ კეთილსინდისიერება, როგორც კერძო სამართლის სუბიექტთა მოქმედების იმპერატიულად მბოჭავი პრინციპი, აისახება ამ სუბიექტის მიერ ნებისმიერი მოთხოვნის რეალიზებისა და უფლების გამოყენების შესაძლებლობაზე. მათ შორის, მხარის მიერ ხანდაზმულობის შესაგებლის უფლებით სარგებლობის, ან ჯერ კიდევ არსებული მოთხოვნის აღსრულების შესაძლებლობაზე.

შესაბამისად, სადოქტორო კვლევის ფარგლებში აუცილებელია კეთილსინდისიერების პრინციპის ზეგავლენის შესწავლა ხანდაზმულობის ინსტიტუტთან მიმართებით.

კვლევის ფარგლებში, უპირველესად შესწავლილია კეთილსინდისიერების პრინციპის გავლენით უფლების გამოყენების შეზღუდვის ცალკეული შემთხვევა შედარებით სამართლის ანალიზის საფუძველზე. ასევე, შეზღუდვის სუბიექტთა წრე და მოქმედების სფერო.

ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, კვლევის ფარგლებში ორი საკითხი იმიჯნება: (1) როცა მხარე კარგავს მოთხოვნის უფლებას, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ აღნიშნული მოთხოვნა ხანდაზმული არ არის; (2) როცა მხარეს, მიუხედავად იმისა, რომ

⁵ სუსგ ას-549-521-2015, სუსგ ას-570-541-2015; სუსგ ას-528-501-2015.

⁶ სუსგ ას-528-501-2015.

⁷ იქვე.

მის მიმართ მოთხოვნა ხანდაზმულია, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ეზღუდება თავისი აღმჭურველი უფლების, ხანდაზმულობის შესაგებლის გამოყენება.

აღნიშნული საკითხების შესწავლისას, საყურადღებოა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც, სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით, პირველად ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან, მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითება კონკრეტულ დავაში გაუმართლებელი იყო და აუკრძალა ამ შესაგებლით სარგებლობა. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულია. გადაწყვეტილება საინტერესოა იმ კუთხით, რომ იგი კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით, გამორიცხავს ხანდაზმულობის შესაგებლის გამოყენებას, რაც უცხო არ არის არც ანგლოამერიკული და არც კონტინენტური ევროპის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკისთვის. თუმცა, მეორე მხრივ, შესაფასებელია, რამდენად იდენტურ წინაპირობებს მოითხოვენ სასამართლოები ხანდაზმულობის შესაგებლის გამოსარიცხად.

შესაბამისად, ნაშრომი შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე იკვლევს კეთილსინდისიერების პრინციპის გავლენას ხანდაზმულობის ინსტიტუტზე. თავდაპირველად, გააანალიზებულია კეთილსინდისიერების პრინციპის ჩარევით, ამა თუ იმ ფორმალური სამართლებრივი მდგომარეობის კორექტირების შემთხვევები ანგლოამერიკულ, კონტინენტურ და უნიფიცირებულ სამართალში. შემდეგ თავში დაკონკრეტებულია, ხანდაზმულობასთან მიმართებით კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების ფარგლები და წინაპირობები. პარალელურად, შედარებულია ქართულ სამართალში არსებულ მდგომარეობასთან და თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეფასებულია შედარებით სამართალში არსებული მიდგომების მიხედვით. მესამე თავში გააანალიზებულია უფლების გაქარწყლების შემთხვევა, როცა მოთხოვნა ჯერ ხანდაზმული არ არის.

1. უფლების გამოყენების შეზღუდვის საფუძველთა ერთგვაროვნება სხვადასხვა სისტემაში

წინამდებარე თავი განიხილავს კეთილსინდისიერების პრინციპით უფლების გამოყენების შეზღუდვის ცალკეულ შემთხვევებს კონტინენტურ ევროპაში, ანგლოამერიკულ და უნიფიცირებულ სამართალში და გაანალიზებულია უფლების გამოყენების შეზღუდვის ქართული პრაქტიკა.

1.1 ცალკეულ შემთხვევათა ჯგუფები გერმანიაში

გერმანიის უზენაესი ფედერაციული სასამართლოს განმარტებით, კეთილსინდისიერებისა და ნდობის პრინციპები მოიცავს მთელ სამართლებრივ სისტემას და ისინი მოქმედებენ არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ საპროცესო სამართალში.⁸ გსკ-ის 242-ე მუხლი განამტკიცებს სახელშეკრულებო ურთიერთობებში კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულებას,⁹ რომელმაც სასამართლო პრაქტიკით განვრცობა პოვა და იგი მთლიანად, კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება, მიუხედავად იმისა, რა სახის ურთიერთობაა სახეზე, სახელშეკრულებო თუ სხვა.¹⁰

აღნიშნული პარაგრაფის გამოყენებით, განვითარდა სპეციალურ შემთხვევათა ჯგუფები, როდესაც კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად, პირი მოკლებულია შესაძლებლობას, გამოიყენოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებები და მოთხოვნები. გსკ-ის 242-ე პარაგრაფის შესაბამისად, პირს მის მიმართ დაყენებული მოთხოვნების თუ შესაგებლების წინააღმდეგ, შეუძლია დააყენოს უფლების ბოროტად გამოყენების შესაგებელი, როცა სახეზეა შესაბამისი პირობები. აღნიშნული არ გულისხმობს უფლების ბოროტად გამოყენებას ვიწრო გაგებით,

⁸ BGH X ZR 73/95.

⁹ *Taubner, Werner*, in Reihe alternative Kommentare zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band II, Luchterhand, 1980, § 242, Rn 38.

¹⁰ *Zimmermann Reinhard, Whittacker, Simon*, Good faith in European Contract Law, Cambridge University Press, 2000, 16.

რომელიც მოწესრიგებულია გსკ-ის 226-ე მუხლში და წარმოადგენს სსკ-ის 115-ე მუხლის ანალოგს.¹¹

სსკ-ის 242-ე მუხლში ნაგულისხმევი, ფართო გაგებით უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევათა ჯგუფები კი შემდეგია:

1) სამართლებრივი მდგომარეობის უკანონო მოპოვება – უფლების გამოყენება დაუშვებელია, თუ ასეთი უფლება პირმა უკანონოდ მოიპოვა, კერძოდ, კანონის, ზნეობის ან ხელშეკრულების დარღვევით.¹²

2) საკუთარი ვალდებულებების დარღვევა – თუ პირი არღვევს საკუთარ ვალდებულებებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მას აეკრძალოს უფლების გამოყენება და ვერ განახორციელოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი მოთხოვნა.¹³ პირი იქცევა ურთიერთსაწინააღმდეგოდ, როცა ცდილობს, თავის მიერვე ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი მოვლენით ისარგებლოს.¹⁴ იმისათვის, რომ მან საპირისპირო შესრულების მოთხოვნის უფლება დაკარგოს, დარღვევა ძალიან მძიმე უნდა იყოს, თუმცა, მსგავსი პრაქტიკა არსებობს გერმანიის სასამართლოებში.¹⁵

ერთ-ერთ საქმეში, რომელიც გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ განიხილა, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოპასუხე ვალდებული იყო, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში, ახალი მისამართის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინა მოსარჩელისთვის. აღნიშნული მან არ გააკეთა, რის გამოც, მოსარჩელის მიერ გაგზავნილი შეტყობინებების ჩაბარება მან განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დააბრკოლა. შესაბამისად, მოპასუხის

¹¹ *Heinrichs* in Palandt, §226, Rn 2-3. შეად: *კროპპოლერი, იან*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მუხლობრივი შედარება, მე-13 გამოცემა, თბილისი, 2013, 857.

¹² *Heinrichs* in Palandt, §242, Rn 43. *Taubner Werner* in Reihe alternative Kommentare zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band II, Luchterhand, 1980, § 242, Rn 41.

¹³ *Taubner, Werner*, in Reihe alternative Kommentare zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band II, Luchterhand, 1980, § 242, Rn 43.

¹⁴ OLG Köln VersR 1989, 642.

¹⁵ *Heinrichs* in Palandt, §242, Rn 46.

მითითება, რომ იგი არ ცხოვრობდა აღნიშნულ მისამართზე და ხანდაზმულობის ვადის დენა მის მიმართ ამ გზავნილით არ შეწყვეტილა, რადგან იგი არ ჩაბარებია, ეფუძნება მის მიერვე, ხელშეკრულების დარღვევიდან გამომდინარე გაჩენილ უფლებას.¹⁶

1) საკუთარი დაცვის ღირსი ინტერესის არარსებობა – უფლების გამოყენება დაუშვებელია, თუ პირს აღნიშნულის მიმართ არა აქვს დაცვის ღირსი სამართლებრივი ინტერესი. აღნიშნული სახეზეა, როცა უფლების გამოყენება არამიზნობრივად ხდება, მაგ.: ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება გამოიყენება არა სახელშეკრულებო მიზნის მისაღწევად.¹⁷ ან ინტერესი არსებობს, მაგრამ უფლების გამოყენება შეუსაბამოა იმ დარღვევასთან მიმართებით, რისთვისაც გამოიყენება. მაგ.: პარტნიორის გარიცხვის მოთხოვნა, როცა შესაძლებელია უფრო ნაკლებად მძიმე ღონისძიების გატარება.¹⁸

2) *Venire contra factum proprium* – ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედება. საზოგადოდ, სამართალი უშვებს ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებას.¹⁹ კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ თავიანთი სამართლებრივი შეხედულებები დაცვის დროს შეცვალონ.²⁰ როგორც წესი, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მის მიერ ადრე გამოვლენილი ნების გამოვლენის ბათილობაზე მიუთითოს²¹. გერმანიის უზენაესი ფედერაციული სასამართლოს განმარტებით, ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედება მხოლოდ მაშინ არის კანონსაწინააღმდეგო, როცა აღნიშნულით მეორე მხარეს ნდობის არსებობის შემადგენლობა გაუჩნდა,²² ან არის სხვა განსაკუთრებული გარემოებები, რაც უფლების გამოყენების არაკეთილსინდისიერ მოქმედებად მიჩნევის საფუძველს იძლევა²³.

¹⁶ BGH, XI ZR 248/03.

¹⁷ *Heinrichs* in Palandt, §242, Rn 50-51. *Taubner Werner* in Reihe alternative Kommentare zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band II, Luchterhand, 1980, § 242, Rn 40.

¹⁸ *Heinrichs* in Palandt, §242, Rn 54.

¹⁹ BGH, X ZR 73/95.

²⁰ *Heinrichs* in Palandt, §242, Rn 55; *Taubner Werner* in Reihe alternative Kommentare zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band II, Luchterhand, 1980, § 242, Rn 31-33 (1980).

²¹ BGH, IX ZR 24/82; BGH, IX ZR 271/90; BGH, IX ZR 271/90.

²² BGHZ 32, 273, 279; BGH, IVb ZR 7/84; BGH, III ZR 36/84.

²³ BGH X ZR 73/95; BGHZ 94, 344, 354; BGH, IX ZR 271/90; BGH IX ZR 271/90.

ურთიერთსაწინააღმდეგო ქცევა უფლების ბოროტად გამოყენებაა, როცა მეორე მხარისთვის ნდობის ობიექტური შემადგენლობა წარმოიშვა, ან როდესაც სხვა გარემოებები უთითებენ, რომ უფლების გამოყენება კეთილსინდისიერების პრინციპს ეწინააღმდეგება.²⁴

ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების შემადგენლობიდან გამოიყოფა სხვადასხვა სამართლებრივ შემთხვევათა ჯგუფები, როცა პირის მიერ უფლების გამოყენება წარმოადგენს *venire contra factum proprium*-ს. მაგალითად, კრედიტორს არ შეუძლია ვადის გადაცილების გამო რაიმეს მოთხოვნა, თუ მან შექმნა ისეთი სიტუაცია, რომ მოვალემ ირწმუნა, ვადის გადაცილება არ წარმოშობდა მისთვის ნეგატიურ სამართლებრივ შედეგს.²⁵

წარმოშობილი ნდობის გარდა, ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედება შესაძლოა სხვა გარემოებებიდან გამოვლინდეს. პირი, რომელიც საარბიტრაჟო დავისას არბიტრაჟის განსჯადობას ხდის სადავოდ, ან მის ჩატარებას ხელს უშლის საარბიტრაჟო ბაჟის გადაუხდელობით, სასამართლო გზით დავის გადაწყვეტისას მოკლებულია შესაძლებლობას, მიუთითოს საარბიტრაჟო დათქმასა და არბიტრაჟის განსჯადობაზე.²⁶ ცალკეულ შემთხვევაში, დაუშვებელია მაგალითად, შრომით ურთიერთობაში, დამსაქმებლის მითითება გასაჩივრების აბსოლუტური ვადის გაშვებაზე, თუ მან ისეთი პირობა შექმნა დასაქმებულის მიმართ, თითქოს არ გამოიყენებდა ამ შესაგებელს.²⁷

ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების ერთ-ერთი სახეა ასევე უფლების გაქარწყლება, *Verwirkung*-ი, რომელიც ნაშრომის მე-0 თავში ცალკე განიხილება, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

1.2 ანგლოამერიკული გამოცდილება

გერმანიაში განვითარებული მიდგომა, ძირითადად, თანხვედრაშია ანგლოამერიკულ მიდგომასთან. ინგლისში უფლების ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად და კანონის უსამართლო შედეგების

²⁴ BGH, X ZR 73/95, VIII ZR 161/03.

²⁵ BGH NJW 03, 2448.

²⁶ *Heinrichs* in Palandt, §242, Rn 57.

²⁷ იქვე, Rn 61.

თავიდან ასაცილებლად განვითარდა *estoppel*-ის დოქტრინა.²⁸ მართალია, ტერმინი *estoppel*-ი მრავალი მნიშვნელობით გამოიყენება ანგლოამერიკულ სამართალში, მაგრამ კერძო-სამართლებრივი განმარტება გულისხმობს პირისთვის უფლების განხორციელების აკრძალვას, თუ აღნიშნული ეწინააღმდეგება მის ადრეულ ქმედებას.²⁹ *Estoppel*-ის მრავალი ფორმა არსებობს და ისინი კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას ემსახურება, იქ, სადაც კანონი ვერ უზრუნველყოფს სამართლიანი შედეგის დადგომას.³⁰

Estoppel-ის დოქტრინის მიხედვით, პირს, რომელიც განახორციელებს მოქმედებას, რომელსაც სხვა გონივრულად ეყრდნობა, ეკრძალება ამ მოქმედების ნამდვილობის უარყოფა ან ამ მოქმედების საწინააღმდეგო პოზიციის დაჭერა.³¹ მისი ძირითადი მიზანი იმ პირის დაცვაა, ვინც სხვისი შეცდომაში შემყვანი

²⁸ *Cooke, Elizabeth*, The Modern Law of Estoppel, Introduction, 2; *Snyder V. David*, Promissory Estoppel, the Civil Law and the mixed Jurisdiction, 15 *Ariz. J. Int'l & Comp. L.* 695 1998, 747. დეტალურად იხ: *Kohne, Gunther*, Reliance, Promissory Estoppel and Culpa in Contrahendo: A comparative analysis, 10 *Tel Aviv U. Stud. L.* 279 1990, 279-296.

²⁹ ანგლოამერიკულ სამართალში არსებობს ე.წ. promissory estoppel-ის დოქტრინა, რომელიც სამართლებრივ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებებით, თითქმის იდენტურია რომის სამართალში წარმოშობილ და დღეს კონტინენტურ ევროპაში, მით უფრო გერმანიაში გავრცელებულ culpa in contrahendo-ს დოქტრინის, იმ განსხვავებით, რომ მას უფრო ფართო გამოყენება აქვს. დაწვრილებით იხ.: *Snyder V. David*, Comparative law in action: promissory estoppel, the civil law, and the mixed jurisdiction, 15 *Ariz. J. Int'l & Comp. L.* 695 1998 pp. 699, 702-703. ასევე: *Kohne, Gunther*, Reliance, promissory estoppel and culpa in contrahendo: a comparative analysis, 10 *Tel Aviv U. Stud. L.* 279 1990.

³⁰ იხ.: სხვადასხვა ფორმები: Estoppel per rem judicatam, issue estoppel, estoppel by deed, estoppel by representation, estoppel by conduct, estoppel by acquiescence, estoppel by election or waiver, estoppel by negligence, promissory estoppel, proprietary estoppel in *Cooke, Elizabeth* The Modern Law of Estoppel, Introduction, 3.

³¹ *Mcdonald, Patrick*, contradictory government action: estoppel of statutory authorities, 17 *Osgoode Hall L. J.* 160 1979, 160. ინგლისში განვითარებულ ესტოპელს Common law estoppel-ს უწოდებენ, სადაც ასევე იყოფა estoppel by conduct და estoppel by representation, დეტალურად იხ: *Cooke Elizabeth* The Modern Law of Estoppel, development of estoppels, 3.

მოქმედება კეთილსინდისიერად ირწმუნა.³² მსგავსად გერმანული ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებისა, ამ შემთხვევაშიც, პირს ფაქტების არასწორი რეპრეზენტაციით, სხვა პირი შეცდომაში შეჰყავს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას აღნიშნულის განზრახვა.³³

მისი უმთავრესი ნიშანია მცდარი რეპრეზენტაცია, მოქმედებით, წერილობით ან სიტყვიერად, რამაც გამოიწვია მეორე მხარის ნდობა.³⁴ როგორც აღინიშნა, ესტოპელის სხვადასხვა ფორმა არსებობს ნაშრომის მიზნებისა, რელევანტურია ესტოპელი, რომელიც მომდინარეობს ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებიდან.

მიუხედავად იმისა, რა ტერმინი იქნება გამოყენებული, სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ იგი არ არის ანგლოამერიკული სამართლის წმინდა შემოქმედება.³⁵ რომის სამართალი ანალოგიურ შედეგამდე მიდიოდა ზემოთ დასახელებული *venire contra factum proprium* პრინციპით.³⁶ თითქმის ანალოგიური შედეგი მიიღწევა საფრანგეთში უფლების ბოროტად გამოყენების ცნების განმარტებით, ხოლო გერმანიაში როგორც აღინიშნა, ეს პრინციპი 242-ე მუხლის ქვეშ განიმარტება.³⁷

1.3 უნიფიცირებული სამართალი

Unidroit-ის პრინციპები იზიარებს თანამედროვე ქვეყნებში დამკვიდრებულ კეთილსინდისიერებისა და ზნეობის ნორმების დაცვის ისტორიულად დამკვიდრებული როლის მნიშვნელობას. პრინციპების 1.7 მუხლი განსაზღვრავს მხარეთა კეთილსინდისიერებისა და სამართლიანი მოლაპარაკების ვალდებულებას და კრძალავს მხარეთა შეთანხმებით ამ

³² *Dawson, John. P.*, Estoppel and statutes of limitation, 34 Mich. L. Rev. 1 1935-1936, 33.

³³ იქვე.

³⁴ *Cooke, Elizabeth*, The Modern Law of Estoppel, Representation, 3.

³⁵ ინგლისში ესტოპელის განვითარებასთან დაკავშირებით იხ.: *Cooke, Elizabeth*, The Modern Law of Estoppel, development of estoppels.

³⁶ *Palmer V. Vernon*, the many guises of equity in a mixed jurisdiction: a functional view of equity in Louisiana, 69 Tul. L. Rev. 7 1994-1995, 54, Supranote 70.

³⁷ იქვე.

ვალდებულების გამორიცხვას ან შეზღუდვას.³⁸ დასახელებული მუხლის კომენტარში აღნიშნულია, რომ მართალია კეთილსინდისიერების პრინციპის დაკონკრეტებას პრინციპების სხვა მუხლები შეიცავენ, თუმცა ამ მუხლის დამოუკიდებლად არსებობის მიზანია მოიცვას მთელი სისტემა და მაშინაც მოქმედებს, როცა აღნიშნული პირდაპირ არ არის განსაზღვრული კანონით.³⁹ უნიდროას პრინციპები ასევე იცნობს უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვის ინსტიტუტს, რომელსაც 1.7 მუხლის ქვეშ განიხილავენ.⁴⁰

კეთილსინდისიერების პრინციპის ერთ-ერთი დაკონკრეტებაა ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების (*inconsistent behavior, estoppel*) აკრძალვა, რომელიც ასახულია უნიდროას პრინციპების 1.8 მუხლში.⁴¹ აღნიშნული მუხლის კომენტარის მიხედვით, ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედების შესაგებელს შეუძლია გააქარწყლოს უფლება, მოთხოვნა ან მხარის შესაგებელი.⁴² მხარის მცდარი წარმოდგენა შეიძლება გამომდინარეობს პირის ქცევიდან, ან მისი დუმილიდან, როდესაც მოლოდინია, რომ პირი გამოთქვამს პრეტენზიას იმ შეცდომის ან გაუგებრობის გამო, რაზეც მეორე მხარეს არასწორი წარმოდგენა შეექმნა.⁴³ კომენტარში მითითებულია, რომ აღნიშნული მუხლით დაცულია მხოლოდ ისეთი წარმოდგენა, რომელიც ობიექტურად, გონიერ ადამიანს შესაძლებელია შეექმნას. აღნიშნული კი კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე ფასდება, როგორცაა მხარეთა კომუნიკაცია, ქცევა, მოლაპარაკებების ბუნება და მოლოდინები.⁴⁴ პრინციპებში ასახულია მაგალითები, როდესაც პირი ურთიერთსაწინააღმდეგოდ იქცევა:

ა-ს და ბ-ს შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ბ აშენებს სახლს. ბ-ს, ხელშეკრულებიდან

³⁸ Unidroit, 1.7 Art, Co. 4.

³⁹ Unidroit, 1.7 Art, Co. 1.

⁴⁰ Unidroit, 1.7 Art, Co. 2.

⁴¹ “A party cannot act inconsistently with an understanding it has caused the other party to have and upon which that other party reasonably has acted in reliance to its detriment.”, პრინციპების სიტყვათა განმარტებებში 1.8 მუხლში ასახული inconsistent behavior განმარტებულია როგორც estoppel.

⁴² Unidroit, 1.8 Art, Co. 1.

⁴³ Unidroit, 1.8 Art, Co. 2.

⁴⁴ იქვე.

გამომდინარე, არასწორად ესმის სამუშაოს შინაარსი. ა და ბ ხვდებიან ხშირად და ათანხმებენ სამუშაოებს. ა საქმის კურსშია ბ-ს მიერ განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოების შესახებ, მაგრამ არ უთითებს ბ-ს შეცდომაზე. შესაბამისად, ა-ს აეკრძალება, მიუთითოს, რომ სამუშაო არ შესრულებულა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების მიხედვით.⁴⁵

უნიდროას პრინციპების 1.8 მუხლი იცავს მხარეს ნდობით წარმოშობილი ზიანისგან. იგი აუცილებლად არ გულისხმობს, რომ მხარე, რომელიც არათანამიმდევრულად მოქმედებს, შეიზღუდოს ამგვარი მოქმედების უფლებაში. დასახელებული პრინციპი მხოლოდ ერთ-ერთი ბერკეტია ზიანის აცილებისთვის. მაგალითად, მხარე შეიძლება მოიქცეს არათანამიმდევრულად, თუ მეორე მხარეს გონივრული ვადის მითითებით გაუგზავნა შეტყობინება, ან აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მხარეს მიადგა ნდობის გამო.⁴⁶

მაგალითისთვის:

ა-ს და ბ-ს შორის მიწოდების ხელშეკრულებაა გაფორმებული, რომლის ვადის გადაცილებისთვის, გათვალისწინებულია ბ-ს მიმართ ჯარიმა. მას შემდეგ, რაც ა შეიტყობს ბ-ს მიწოდების სიძნელეების თაობაზე, შეატყობინებს, რომ იგი არ მოითხოვს მკაცრად ვადის დაცვას. ერთი წლის შემდეგ, ა-ს აფერხებს ბ-ს მიერ მუდმივი გადაცილებები. ა ვერ მოითხოვს ამ ვადის განმავლობაში დაგროვილი პირგასამტეხლოს გადახდას, მაგრამ შესაბამისი შეტყობინების შემდეგ, შეუძლია სამომავლოდ მოითხოვოს ბ-სგან ხელშეკრულებით დადგენილი ვადის დაცვა.⁴⁷

DCFR-იც განმარტავს არათანამიმდევრულ ქცევას და მას ძველ რომაულ პრინციპთან, *venire contra factum proprium* პრინციპთან აიგივებს.⁴⁸ თავის მხრივ, CISG-ის გამოყენებით, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შესაგებლის უფლების გაქარწყლების შესაგებელი მიანიჭა მხარეს, როგორც ზოგადი კეთილსინდისიერების პრინციპისა და სამართლიანი *fair dealing*-ის შემავსებელი ნორმა, როდესაც მყიდველმა ვადის გადაცილებით მიაწოდა გამყიდველს ინფორმაცია ნაკლის შესახებ, ხოლო გამყიდველმა, მიუხედავად ვადის გადაცილებისა, თავად არ მიაქცია აღნიშნულს ყურადღება და დაიწყო მოლაპარაკებები

⁴⁵ Unidroit, 1.8 Art, Co. 2, example 3.

⁴⁶ Unidroit, 1.8 Art, Co. 3.

⁴⁷ Unidroit, 1.8 Art, Co. 2, example 4.

⁴⁸ DCFR outline edition, 77.

ნაკლის გამოსწორების თაობაზე, ასეთ შემთხვევაში, გამყიდველის შემდგომი პრეტენზია ვადის გასვლის თაობაზე, აღარ იქნა გათვალისწინებული.⁴⁹

1.4 უფლების გამოყენების შეზღუდვა ქართულ სამართალში

ქართულ დოქტრინაში არაერთგვაროვანი მოსაზრება არსებობდა. წარმოადგენს კეთილსინდისიერების პრინციპის შესახებ სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილში არსებული ჩანაწერი დეკლარატორული ხასიათის ნორმას, თუ აღნიშნული შესაძლებელია მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი გახდეს. ამ დისკუსიაზე პასუხი სასამართლოს პრეცედენტულმა გადაწყვეტილებებმა გასცა, რომლითაც საბოლოოდ აღიარეს კეთილსინდისიერების პრინციპის იმპერატიულობა და მისი როლი კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებაში. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, კეთილსინდისიერების პრინციპის ვრცელი განმარტება გააკეთა რამდენიმე საქმეში. უზენაესი სასამართლოს მითითებით, კეთილსინდისიერების პრინციპს სამი ფუნქცია აკისრია⁵⁰:

- (1) ყველა ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე.
- (2) კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს ხარვეზის (სამართლის ნორმის ხარვეზის) შემავსებელი ფუნქცია, ასევე ხელშეკრულების პირობათა (რომლებიც მხარეთა მიერ ან/და კანონით არ იყო გათვალისწინებული) დამატების ფუნქცია;
- (3) კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს გამაუქმებელი, შემზღუდავი და „მაკორექტირებელი“ ფუნქცია.

აღნიშნული ფუნქციები თანხვედრაშია სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობასა და გამოყენებასთან. ხანდაზმულობის შესაგებლის კონტექსტში მნიშვნელოვანია მესამე – უფლების გამაუქმებელი, შემზღუდავი და მარკორექტირებელი ფუნქცია.⁵¹

⁴⁹ *Schlechtriem, Peter*, Good Faith in German Law and in International Uniform Laws, Roma, 1997, 7, ხელმისაწვდომია: <http://www.cisg.law.pace.edu/cisg/biblio/schlechtriem16.html>.

⁵⁰ სუსგ ას-1338-1376-2014, ასევე სუსგ ას-570-541-2015.

⁵¹ აღნიშნული ფუნქციები შინაარსობრივად შესაბამისობაშია შედარებით სამართალში არსებულ ფუნქციებთან. შეად.: *Heinrichs* in Palandt, §242, Rn

მე-10 მუხლის მე-3 ნაწილში, რომელიც განამტკიცებს, რომ უფლებათა ბოროტად გამოყენებისგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონების იმპერატიული ნორმები.⁵² უფლების ბოროტად გამოყენების დაკონკრეტებაა სსკ-ის 115-ე მუხლით განსაზღვრული უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვა. სსკ-ის 115-ე მუხლით, უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვით კერძო სამართლის სუბიექტს ეზღუდება კანონით მინიჭებული უფლების იმგვარი გამოყენება, რაც მხოლოდ სხვა პირისთვის ზიანის მიყენების მიზნით ხორციელდება. ანალოგიურ ჩანაწერს როგორც აღინიშნა, შეიცავს გსკ-ის 226-ე მუხლი, რომელიც ვიწროდ გამოიყენება და მიმართულია უფლებით ბოროტად სარგებლობის შემთხვევებზე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პირი თავისი უფლების სარგებლობით თავის სასარგებლო სამართლებრივ სიკეთეს იღებს, აღნიშნული მუხლის გამოყენება გამოირიცხება.⁵³

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 115-ე მუხლიდან გამომდინარე, უფლების ბოროტად გამოყენებას მაშინ აქვს ადგილი, თუ პირი მოქმედებს არამართლზომიერად. ამასთან, ქმედება მიზნად ისახავს მხოლოდ სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას და არ ემსახურება საკუთარი უფლების დაცვას ან აღდგენას.⁵⁴

ერთ-ერთ საქმეში, პირგასამტეხლოს დაკისრებასთან დაკავშირებით, მოპასუხე უთითებდა, რომ მოსარჩელემ განზრახ გააჭიანურა სარჩელის წარდგენა, სასამართლომ განმარტა, რომ ვალდებულების დარღვევიდან დაუყოვნებლივ სარჩელის წარუდგენლობა არ შეიძლება განვიხილოთ უფლების ბოროტად გამოყენებად. მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა მოსარჩელემ საკუთარი უფლების რეალიზაცია მოახდინა კანონით დადგენილ ხანდაზმულობის ვადაში და მისი ქმედება კანონიერ მიზნებს ემსახურება.⁵⁵

43. *Taubner, Werner*, in Reihe alternative Kommentare zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band II, Luchterhand, 1980, § 242, Rn 41.

⁵² კეთილსინდისიერების ზოგადი პრინციპის დაკონკრეტების თაობაზე იხ.: *კერესელიძე, დავით*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 92-93.

⁵³ *Heinrichs* in Palandt, §226, Rn 2-3.

⁵⁴ სუსგ ას-1301-1239-2014.

⁵⁵ სუსგ ას-1385-1307-2012, იმეორებს: ას-1301-1239-2014.

ამ განმარტებიდან გამომდინარე, გსკ-ის 226-ე მუხლის მსგავსად, სსკ-ის 115-ე მუხლი უფლების ბოროტად გამოყენების ვიწრო შემთხვევას უნდა წარმოადგენდეს. თუმცა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში ფართოდ განმარტა სსკ-ის 115-ე მუხლი:⁵⁶ ბანკს, რომელსაც კანონისა და ხელშეკრულების საფუძველზე ჰქონდა მოვალის ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის უფლება და დაიწყო შესაბამისი პროცედურები, იძულებითი აღსრულების თავიდან აცილების მიზნით, მიმართა სხვა საბანკო ინსტიტუტმა, რომელიც საბანკო გარანტიის წარდგენის მეშვეობით, პირობას იძლეოდა, რომ შეასრულებდა მოვალის ვალდებულებას მის ნაცვლად და ითხოვა იძულებითი აუქციონის შეჩერება. აღნიშნული შეტყობინება ბანკმა უგულვებელყო და იძულებით აუქციონზე გაიყიდა მოვალის ქონება საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით დაბალ ფასად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ბანკის ქმედება ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს და წარმოადგენს სსკ-ის 115-ე მუხლიდან გამომდინარე, უფლების ბოროტად გამოყენების ერთ-ერთ ნათელ მაგალითს.⁵⁷

აღნიშნული საქმის მოცემულობა შინაარსობრივად ჰგავს გსკ-ის 242-ე მუხლის ქვეშ განვითარებულ უფლების ბოროტად გამოყენების სახეს, რომლის დროსაც, მართალია პირი უფლებას იყენებს საკუთარი ინტერესის დასაცავად, მაგრამ უფლების გამოყენება შეუსაბამოა დარღვევასთან მიმართებით, ისე, რომ აღნიშნული ინტერესი არ მოიაზრება დაცვის ღირსად.⁵⁸

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, საქართველოს სასამართლოები სსკ-ის 115-ე მუხლს განმარტავენ ფართოდ, თუ უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს განიხილავენ მხოლოდ სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ცხადია, რომ ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც აღიარებულია კეთილსინდისიერების პრინციპის შემზღვევითი ფუნქცია და უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვა.

⁵⁶ სუსგ ას-1338-1376-2014.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ *Heinrichs* in Palandt, §242, Rn 55; *Taubner, Werner*, in Reihe alternative Kommentare zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band II, Luchterhand, 1980, § 242, Rn 31-33 (1980).

2. შეზღუდვები ხანდაზმულობის შესაგებელთან დაკავშირებით

ნაშრომის წინამდებარე თავი იხილავს ხანდაზმულობის შესაგებლის გამოყენების შეზღუდვის კონკრეტულ შემთხვევებს ანგლოამერიკულ და კონტინენტურ სამართლის პრაქტიკაში, მის გამოყენებას საჯარო სამართალში და სახელმწიფო ორგანოების მიმართ. მეორე თავის მესამე ქვეთავში განხილულია ქართულ სამართალში ხანდაზმულობის შესაგებლის დაყენებისადმი არსებული სავარაუდო შეზღუდვები კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე და გააანალიზებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი უახლესი გადაწყვეტილება ამ თემაზე.

2.1 შედარებითი სამართლის პრაქტიკა

წინა თავში არსებული ანალიზი ცხადყოფს, რომ სამართლებრივი სისტემები იცნობენ ამა თუ იმ უფლების გამოყენების აკრძალვას, როცა აღნიშნული არღვევს კეთილსინდისიერებისა და ზოგადი სამართლიანობის პრინციპს და როცა პირი მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებას ბოროტად იყენებს. გამონაკლისი არც ხანდაზმულობის შესაგებელია. ისევე, როგორც ნებისმიერი უფლების გამოყენება, პირს შეიძლება ხანდაზმულობის შესაგებლის დაყენების უფლებაც შეეზღუდოს.

მიუხედავად იმისა, რომ ხანდაზმულობის ინსტიტუტი სამართლის განვითარების ადრეულ ეტაპზე ჩამოყალიბდა, კანონისტების მიერ იგი იწოდებოდა როგორც *improborum subsidium* (არაკეთილსინდისიერ პირთა დახმარება)⁵⁹. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ უფლების ბოროტად გამოყენებისა და ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების დოქტრინა ხანდაზმულობის შესაგებლის მიმართაც, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, ფართოდ გამოიყენება. ანგლოამერიკულ თუ კონტინენტურ ევროპაში, სასამართლოებმა

⁵⁹ West, Janke, Licari, François-Xavier, Contra Non Valentem in France and Louisiana: Revealing the Parenthood, Breaking a Myth Benjamin, 512. ხელმისაწვდომია: <http://ssrn.com/abstract=1664482>.

განავითარა პრაქტიკა, რომლის თანახმად, რიგ შემთხვევაში მხარეს ეკრძალება ხანდაზმულობის შესაგებლის დაყენება.⁶⁰

გერმანიის უზენაესი ფედერაციული სასამართლოს განმარტებით, მოვალის ხანდაზმულობის შესაგებელი მაშინ არის კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო და ბათილი, როდესაც კრედიტორს მოვალის საერთო ქცევიდან გამომდინარე, ობიექტურად იმგვარი რწმენა გაუჩნდა, რომ ხანდაზმულობის შესაგებელს იგი არ დააყენებდა და შინაარსობრივი შესაგებლებით შემოიფარგლებოდა.⁶¹ ასეთი შემთხვევა სახეზეა, როდესაც მოვალე პირდაპირ განაცხადებს უარს ხანდაზმულობის შესაგებლის დაყენების უფლებაზე.⁶² თუმცა, კეთილსინდისიერების პრინციპი კრედიტორს ამ შემთხვევაში მხოლოდ იმ ვადით იცავს, რა ვადაშიც უფლების ბოროტად გამოყენების გარემოებები გრძელდება.⁶³ ამ გარემოებების გაქრობის შემდეგ, არ იწყება ხანდაზმულობის ვადის ხელახლა დენა და არც მისი შეჩერება. არამედ კრედიტორმა კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე, ლოგიკურად სწრაფ დროში უნდა უზრუნველყოს მოთხოვნის აღსრულება.⁶⁴

კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, შეიძლება მხარეს აბსოლუტური ვადების გამოყენებაც აეკრძალოს.⁶⁵

თუმცა შესაგებლის დაყენების აკრძალვა, შეიძლება მუდმივად არ მოქმედებდეს და კონკრეტულ პერიოდში იყოს დაუშვებელი: ერთ-ერთ საქმეში⁶⁶ მოვალეებმა, მიუხედავად იმისა, რომ უარი ჰქონდათ ნათქვამი ხანდაზმულობის შესაგებლის გამოყენებაზე, შეატყობინეს კრედიტორს, რომ ისინი აპირებდნენ ამ უფლებით სარგებლობას. კრედიტორმა უფლების დასაცავად შეტყობინების მიღებიდან 6 კვირის შემდეგ მიმართა სასამართლოს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შეტყობინების მიღების მომენტიდან, კრედიტორს აღარ უნდა ჰქონოდა რწმენა, რომ ისინი დაიცავდნენ პირობას და დროულად უნდა აღედრა სარჩელი. სასამართლომ განმარტა, რომ უფლების ბოროტად გამოყენების შესაგებელი

⁶⁰ *Heriot, L. Gail*, A Study in the Choice of Form: Statutes of Limitation and the Doctrine of Laches, 1992 *BYU L. Rev.*1992, 917.

⁶¹ BGH VI ZR 15/74.

⁶² იქვე.

⁶³ იქვე.

⁶⁴ იქვე.

⁶⁵ *Heinrichs* in Palandt, §242, Rn 63.

⁶⁶ BGH VI ZR 15/74.

კრედიტორს ძალიან მოკლე, გარდამავალი პერიოდით აქვს და ამგვარი ვადა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს, თუმცა იქვე მიუთითა, რომ დადგენილი პრაქტიკით, გონივრულად მიიჩნევა ერთი თვის ვადა.⁶⁷ აღნიშნულ საქმეში, სასამართლომ მიიჩნია, რომ 6 კვირა ძალიან ბევრი იყო რეაგირებისთვის, რადგან კრედიტორს არ აბრკოლებდა არაფერი, დროულად მიემართა სასამართლოსთვის, ხოლო მის მხარეს არსებული ორგანიზატორული პრობლემები არ შეიძლებოდა მოვალეს დაკისრებოდა.⁶⁸ სასამართლომ ასევე გაუსვა ხაზი გარემოებას, რომ არც მტკიცებულებების არქონა იყო სახეზე, რადგან სადავო დოკუმენტი სულ 4 გვერდს შეადგენდა.⁶⁹ შესაბამისად, კრედიტორს უნდა შეძლებოდა, მოთხოვნები სასამართლო გზით უფრო ადრე დაეცვა.

აღნიშნული მაგალითიდან ცხადია, რომ გარდამავალი პერიოდის შემდეგ, მოვალეები აღარ ეწინააღმდეგებიან კეთილსინდისიერების პრინციპს და შეუძლიათ ხანდაზმულობის შესაგებელი კანონიერად დააყენონ.⁷⁰

გერმანული სასამართლოების განმარტებით, ხანდაზმულობის შესახებ ნორმები საჯარო წესრიგსაც ემსახურება, ამიტომ, ხანდაზმულობის შესაგებლის წარდგენის აკრძალვა კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, მკაცრი კრიტერიუმით ფასდება.⁷¹ შესაბამისად, მოვალემ ან აქტიური ქმედებით ხელი უნდა შეუშალოს კრედიტორს უფლების დროულ განხორციელებაში, ან ობიექტური შეფასებით, ისეთი გარემოებები შექმნას, კრედიტორი დაარწმუნა სამართლებრივი დავის გარეშე მოთხოვნის რეალიზების შესაძლებლობაში.⁷² მოვალე ურთიერთსაწინააღმდეგოდ იქცევა, როცა ჯერ კრედიტორს უმოქმედობისკენ უბიძგებს, ხოლო შემდეგ, ამით სარგებლობა სურს ხანდაზმულობის შესაგებლის წარდგენით. ასეთი სახეზეა, როცა აქტიური მოქმედებით ან ვალდებულების დარღვევით,

⁶⁷ BGH VI ZR 15/74.

⁶⁸ იქვე.

⁶⁹ ვადის შეჩერებასთან დაკავშირებით: BGH III ZR 69/62; BGH V ZR 220/80; BGH, VIII ZR 313/84; BGH VIII ZR 313/84; OLG Hamburg VersR 1978, 45, 46; OLG Düsseldorf 15 U 105/82; OLG Zweibrücken OLGZ 1987, 455, 457.

⁷⁰ BGH VII ZR 126/90.

⁷¹ BAG 2 AZR 297/01; BGH, IX ZR 202/86.

⁷² BAG 2 AZR 297/01.

უმოქმედობით, შეცდომაში შეიყვანს კრედიტორს.⁷³ ხანდაზმულობის შესაგებლის გასაქარწყლებლად კრედიტორის დუმილი საკმარისი არ არის.⁷⁴ ასეთი გაქარწყლების საფუძველია იმგვარი გარემოებების შექმნა, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობის მიუხედავად, კრედიტორის მოთხოვნას მაინც დააკმაყოფილებდა.⁷⁵

მაგალითისთვის, როდესაც მოვალე კრედიტორს სარჩელის აღძვრაში ხელს უშლის ან სხვაგვარად, არაკეთილსინდისიერად ხელს უშლის კრედიტორის მიერ უფლების განხორციელებაში.⁷⁶ ამგვარი შემთხვევისთვის არსებითია, რომ მოვალის ქმედება იმდენად ეწინააღმდეგებოდეს კეთილსინდისიერებასა და ზნეობას, რომ ხანდაზმულობის შესაგებლის ნამდვილობა, როგორც უფლების დაუშვებელი გამოყენება, ხანდაზმულობის მიზნებთან შეუსაბამოა.⁷⁷

გერმანიაში დღემდე არსებული სასამართლო პრაქტიკა ზემოთ დასახელებული საფუძვლებით დაუშვებლად ცნობდა ხანდაზმულობის შესაგებელს, როცა ხანდაზმულობის ვადა ჩვეულებრივ, მოკლე იყო და მას არ უმსჯელია 30-წლიანი საერთო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მასზე მითითების დაუშვებლობაზე. თუმცა, ერთ-ერთ საქმეში, გერმანიის უზენაესმა ფედერაციულმა სასამართლომ განმარტა, რომ შესაბამისი ფაქტობრივი შემადგენლობის შემთხვევაში, კეთილსინდისიერების პრინციპის განსაკუთრებით უხეში დარღვევისას, არც აღნიშნულია გამორიცხული.⁷⁸

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედება, estoppel-ი ერთ-ერთ საუკეთესო გამოყენებას ხანდაზმულობის შესაგებელთან მიმართებით პოვებს. იგი ხშირად, მოვალის დაპირებიდან მომდინარეობს, რომ არ გამოიყენებს ხანდაზმულობის შესაგებელს.⁷⁹ იმ შემთხვევაში, როცა პირს ხანდაზმულობის

⁷³ BGH IX ZR 65/87.

⁷⁴ BAG, 5 AZR 910/06; BGH IX ZR 202/86.

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ BGH, IX ZR 180/96.

⁷⁷ იქვე.

⁷⁸ Landgericht Berlin, 1 O 60/11, 05.07.2012.

⁷⁹ *Cooke, Elizabeth*, The Modern Law of Estoppel, The Response to Estoppel, Oxford Scholarship Online, January 2010, 3.; *Michael E. Chaplin*, Reviving Contract Claims Barred by the Statute of Limitations: An Examination of the

შესაგებლის დაყენება ეკრძალება, იგი მეორე მხარის ნდობას უნდა იწვევდეს.⁸⁰

ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში, აშშ-ის რამდენიმე შტატში სასამართლომ განავითარა პრაქტიკა, რომ ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება დასაშვებია, თუ მოთხოვნის რეალიზებას ხელი შეუშალა მოვალემ, ნებისმიერი გზით და ფორმით.⁸¹ აღნიშნულს ისინი ესტოპელის პრინციპით ასაბუთებდნენ, რადგან ხანდაზმულობის ვადის შეჩერების წინაპირობები იმპერატიულად იყო დადგენილი, რომელიც ამგვარ შემთხვევას არ მოიცავდა. ხოლო კეთილსინდისიერებასა და ესტოპელზე დაყრდნობით სასამართლომ გვერდი აუარა კანონის ხისტ დანაწესს. ანალოგიურად, სასამართლოები იმ შტატებში, სადაც აკრძალული იყო ხანდაზმულობის შესაგებლის გამორიცხვა შეთანხმებით, მაინც აღასრულებდნენ მას ესტოპელის დოქტრინის⁸² გამოყენებით, თუ მოთხოვნა წარდგენილი იყო ხანდაზმულობის ვადის გასვლიდან მალევე.⁸³

შესაბამისად, ხანდაზმულობის შესაგებლისადმი *estoppel* -ი იმ შტატებშიც გამოიყენებოდა, რომლებიც უარყოფდნენ ხანდაზმულობის გამორიცხვის შესახებ მხარეთა შეთანხმების აღსრულებას.⁸⁴ აღნიშნულის საფუძველია გარემოება, რომ ამგვარი შეთანხმებების დროს, ხშირ შემთხვევაში სახეზეა ესტოპელის წინაპირობები – მხარის ისეთი ქმედება, რამაც გამოიწვია კრედიტორის ნდობა და მოვალის ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედება.⁸⁵ მაგალითად, კენტუკის შტატში, სასამართლო გამორიცხავდა ხანდაზმულობის ვადების თაობაზე ნებისმიერი მოდიფიკაციის ნამდვილობას. მიუხედავად ამისა, ესტოპელი დაშვებული იყო იმ მიზნით, რომ გაეგრძელებინა ხანდაზმულობის

Legal and Ethical Foundation for Revival, 75 Notre Dame L. Rev. 1571 (2000), 1583. ხელმისაწვდომია: <http://scholarship.law.nd.edu/ndlr/vol75/iss4/7>

⁸⁰ *Cooke, Elizabeth*, the Modern Law of Estoppel, a New Framework for Estoppel, Oxford Scholarship Online, January 2010, 3.

⁸¹ *Dawson, John P*, Estoppel and Statutes of Limitation, 34 Mich. L. Rev. 1 1935-1936, *supra*note 3.

⁸² იქვე.

⁸³ იქვე, 7.

⁸⁴ შეად. იქვე.

⁸⁵ იქვე, 10.

ვადა.⁸⁶ დღეს, აშშ-ის უმრავლეს შტატში, ხელშეკრულებით ხანდაზმულობის ვადებზე შეთანხმება დასაშვებია და ამგვარი შეთანხმების აღსრულება აღარ წარმოადგენს პრობლემას.⁸⁷ შესაბამისად, ესტოპელის დატვირთვა ისეთ შემთხვევებს მოიცავს, რომლებიც გამოწვეულია მხარეთა არა პირდაპირი შეთანხმებით, არამედ ერთი მხარის მიერ მეორის შეფერხებით, წარადგინოს სარჩელი, მოქმედებით ან უმოქმედობით არასწორი წარმოდგენის შექმნით და ა.შ.⁸⁸

ესტოპელის თუ გერმანული კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენებით, შესაძლებელია დელიქტური მოთხოვნების დაცვაც ხანდაზმულობისგან, სადაც მოსარჩელები დაბრკოლდნენ სარჩელის წარდგენისგან გამართლებული ნდობის, აშკარა დაპირების ანდა ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად.⁸⁹

თუ მოვალე ითხოვს სარჩელის წარდგენის გადავადებას, შესაძლებელია აღნიშნული მის ესტოპელსაც იწვევდეს ხანდაზმულობასთან მიმართებით. ერთ-ერთი მთავარი ელემენტი ესტოპელისა არის, იყო თუ არა მხარის ნდობა, და უნდა დაყრდნობოდა თუ არა მხარე იმას, რომ მეორე მხარე არ ისარგებლებდა უპირატესობით.⁹⁰

ავსტრალიის უზენაესმა სასამართლომ განიხილა დავა *The Commonwealth v. Verwayen*, 1964 წელს პირი ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა სახელმწიფოსგან, რომლის გაუფრთხილებლობის გამო ორი საზღვაო გემის შეჯახების შედეგად სხეულის დაზიანების გამო. სახელმწიფომ ერთი წელი გაწელა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება. დავამდეც და დავის დაწყების შემდეგაც, იგი არწმუნებდა მოსარჩელეს, რომ არ გამოიყენებდა ხანდაზმულობის შესაგებელს. აღნიშნულ დავაში სასამართლომ აუკრძალა სახელმწიფოს, გამოეყენებინა ხანდაზმულობა. თუმცა,

⁸⁶ იქვე, *supranote* 22.

⁸⁷ *Chaplin, Michael E.*, Reviving Contract Claims Barred by the Statute of Limitations: An Examination of the Legal and Ethical Foundation for Revival, 75 Notre Dame L. Rev. 1571 (2000), 1585.

⁸⁸ იქვე.

⁸⁹ *Heinrichs* in Palandt, §242, Rn 62-63; *Dawson, John P.*, Estoppel and Statutes of Limitation, 34 Mich. L. Rev. 1 1935-1936, 12.

⁹⁰ *Dawson, John P.*, Estoppel and Statutes of Limitation, 34 Mich. L. Rev. 1 1935-1936, 12.

სასამართლოს წევრებს სხვადასხვა პოზიცია ჰქონდათ, რა იყო ამ აკრძალვის საფუძველი. მათი უმრავლესობა ესტოპელზე უთითებდა, ხოლო ზოგს მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს უარი შესაგებელზე, ჩვეულებრივი ხელშეკრულება იყო და ამიტომ იყო მისი შესაგებელი დაუშვებელი.⁹¹

აშშ-ში, ერთ-ერთ საქმეში, სადაც შემთხვევის შედეგად მოსარჩელემ სხეულის დაზიანება მიიღო, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული კომპანიის წარმომადგენელმა დაარწმუნა მოსარჩელე, რომ მის წინაშე კომპანია გამოასწორებდა ამ ფაქტს. აღნიშნულ მოთხოვნაზე ორწლიანი ხანდაზმულობა მოქმედებდა. ორი წლის განმავლობაში, რამდენჯერმე მოიკითხა მოსარჩელემ მისთვის ანაზღაურების საკითხი. პასუხობდნენ, რომ მალე დაუკავშირდებოდნენ აღნიშნულის თაობაზე. ხანდაზმულობის გასვლის შემდეგ კომპანიამ შესაგებელი დააყენა. სასამართლომ განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში სახეზე არ არის ესტოპელი. კომპანიის წარმომადგენლებს არაფერი გაუკეთებიათ იმისთვის, რომ დაებრკოლებინათ სარჩელის წარდგენა ან დაერწმუნებინათ მოსარჩელე, რომ მისი წარდგენა არ იყო საჭირო.⁹²

2.2 მიმართება საჯარო და კერძო სამართლის სუბიექტებთან

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს თანახმად, ხელისუფლება შეზღუდულია კეთილსინდისიერების პრინციპით როგორც საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას, ასევე კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში.⁹³ კეთილსინდისიერების პრინციპის ქვეკატეგორიებად, ევროპულმა სასამართლომაც განავითარა მყარი პრაქტიკა, *venire contra factum proprium*-ის, უფლების გაქარწყლებისა და უფლების ბოროტად გამოყენების სახით.⁹⁴

ანალოგიურად, გერმანიაშიც, კეთილსინდისიერების პრინციპი და შესაბამისად, უფლების ბოროტად გამოყენების თუ

⁹¹ *Cooke, Elizabeth*, the Modern Law of Estoppel, The Response to Estoppel, Oxford Scholarship Online, January 2010, 35.

⁹² *Dawson, John P*, Estoppel and Statutes of Limitation, 34 Mich. L. Rev. 1 1935-1936, supranote 41: *Kenyon v. United Electric Rys.*, 51 R. 1. 9 o, 151 A. 5 (1930).

⁹³ *Riesenhuber, Karl*, Europaisches Vertragsrecht, 2. Aufl. Berlin, 2006, 543.

⁹⁴ იქვე, 544.

ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების აკრძალვა მოქმედებს კერძო სამართალში და თავის ასახვას ასევე პოვნებს საჯარო სამართალში.⁹⁵

საჯარო სამართალში, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ არსებობს სხვადასხვა პოზიცია, უნდა მიუთითოს თუ არა სახელმწიფომ ხანდაზმულობის შესაგებელზე.⁹⁶ ერთი მხრივ, შესაგებლის გამოყენება, ადმინისტრაციულ ორგანოს საქმეთა მართვისა და მიზანშეწონილი გადაწყვეტილების მიღების ნაწილია, რაც უნდა იცავდეს მას ვადაგასული, ან თუნდაც დაუსაბუთებელი მოთხოვნებისგან, რომელიც იმდენად ხანდაზმულია, შეუძლებელია მატერიალური შესაგებლის დაყენება.⁹⁷ შესაბამისად, გერმანიის ფედერაციული ადმინისტრაციული სასამართლოს მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო არა მხოლოდ უფლებამოსილი, არამედ სახელმწიფო საქმეთა ეკონომიურად წარმართვის პრინციპიდან გამომდინარეც, რიგ შემთხვევებში ვალდებულია გამოიყენოს ხანდაზმულობის შესაგებელი.⁹⁸ თუმცა, ხანდაზმულობის შესაგებელი შესაძლებელია კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, ისევე როგორც კერძო სამართალში, ზნეობისა და კეთილსინდისიერების საწინააღმდეგო იყოს და შესაბამისად, დაუშვებელი.⁹⁹ სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავაშიც კი, ამოწმებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხანდაზმულობის შესაგებლის მითითებისას, ხომ არ ხდება კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა, კერძოდ, ხანდაზმულობის შესაგებელი ხომ არ არის ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედება ან ადმინისტრაციულ ორგანოს/ ხელისფლებას, ხომ არ შეუშლია ხელი მოსარჩელისთვის რაიმე სახით, უფლების დროულ რეალიზებაში.¹⁰⁰ აღსანიშნავია, რომ თუ ხანდაზმულობის შესაგებელი არ არის უფლების დაუშვებელი გამოყენება, მაშინ მხოლოდ ადმინისტრაციული წარმოების წესის დარღვევა ვერ გახდება ამ შესაგებლის

⁹⁵ BVerwG VI C 112.63.

⁹⁶ *Guckelberger, Annette*, die Verjährung im Öffentlichen Recht, Mohr Siebeck, Thübingen, 2004, 436.

⁹⁷ იქვე.

⁹⁸ BVerwG 2 C 32.81; BVerwG VI C 112.63.

⁹⁹ BVerwG VI C 112.63.

¹⁰⁰ *Guckelberger, Annette*, die Verjährung im Öffentlichen Recht, Mohr Siebeck, Thübingen 2004, 442.

დაყენებისთვის საკმარისი.¹⁰¹ როგორც კერძო სამართალში, მისი გამოყენების წინაპირობები იდენტურია და არც აქ მოითხოვება ბრალის არსებობა, საკმარისია ვალდებული პირის ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედება.¹⁰² შესაბამისად, საჯარო სამართალშიც მოქმედებს სამოქალაქო სამართალსა და სასამართლოების მიერ განვითარებული უფლების ბოროტად გამოყენების შესაგებელი ხანდაზმულობისადმი, როცა ვალდებული პირი კრედიტორს ხელს უშლის, თუნდაც გაუცნობიერებლად, მოთხოვნის რეალიზებაში.¹⁰³

აღნიშნული იძლევა ლოგიკური დასკვნის საფუძველს, რომ თუ სახელმწიფო კერძოსამართლებრივ გარიგებებში ან ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობს, მასზე ასევე ვრცელდება კეთილსინდისიერების ვალდებულება და შესაბამისი მოთხოვნისა და უფლების შემზღუდავი ცალკეული შემთხვევა. მათ შორის, ხანდაზმულობის შესაგებლის დაყენების უფლების აკრძალვა, უფლების ბოროტად გამოყენების დროს.

2.3 ხანდაზმულობის შესაგებლის შეზღუდვა ქართულ სამართალში

2.3.1 ხანდაზმულობის ვადის დენა მხარეთა მოლაპარაკების პერიოდში

სსკ-ის 132-ე მუხლი ჩამოთვლის ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საფუძველებს, რომელიც, მსგავსად გსკ-ისა, არ მოიცავს შემთხვევას, როცა კრედიტორს ვალდებული პირი აყოვნებს უფლების განხორციელებისგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გსკ-ის 203-ე მუხლი შეიცავს მოწესრიგებას, რომლის თანახმად, *თუ მოვალესა და კრედიტორს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები მოთხოვნის უფლების ან მის საფუძველად არსებული გარემოებების თაობაზე, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება მანამდე, სანამ ერთი ან მეორე მხარე უარს არ იტყვის მოლაპარაკებების გაგრძელებაზე. მოთხოვნის უფლება არ არის ხანდაზმული შეჩერების შემდეგ, სულ ცოტა, სამი თვის ვადის გასვლამდე.*

აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა მოლაპარაკება გერმანიაში ხანდაზმულობის დენის შეჩერებას იწვევს. შესაბამისად,

¹⁰¹ BVerwG 2 C 14.05.

¹⁰² BVerwG 2 C 32.81.

¹⁰³ BGH 03.02.1953 – I ZR 61/52. RGZ 145, 239 (244).

ხანდაზმულობის ვადა არ გადის და არ დგება ამ შესაგებლის დაყენების და მისი ზნეობისა და კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე დაუშვებლობის საკითხი.¹⁰⁴

საქართველოში, ამგვარი ჩანაწერის არარსებობის პირობებში, ორი ალტერნატივაა: მოლაპარაკების პერიოდში ჩაითვალოს, რომ ხანდაზმულობის ვადა ჩერდება. აღნიშნული იმ გარემოებიდან გამომდინარე იქნება რთული, რომ ხანდაზმულობის შეჩერების ყველა შემთხვევა ამომწურავი რეგულაციით არის ჩამოთვლილი სსკ-ის 130-ე მუხლში და იმპერატიულია. ნაკლებად სავარაუდოა, რომ სასამართლო პრაქტიკა ამ მუხლის პარალელურად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების დამატებით შემთხვევებს განავითარებს. მეორე ალტერნატივაა, თუ მოლაპარაკებათა მიმდინარეობისას, მოთხოვნის მქონე პირმა გაუშვა ხანდაზმულობის ვადა და მოლაპარაკებათა წარუმატებლობით დასრულებიდან გონივრულ ვადაში აღძრავს სარჩელს, ვალდებულ პირს აეკრძალოს ხანდაზმულობის შესაგებლის დაყენება, როგორც უფლების დაუშვებელი გამოყენება. რასაკვირველია, აღნიშნული შეფასებისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევას და ფაქტობრივ გარემოებას ექნება მნიშვნელობა.

2.3.2. მხარეთა შეთანხმება შესაგებელზე უარის თქმის შესახებ

ანალოგიურად, როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ მოვალე, მიუხედავად მოთხოვნის ხანდაზმულობისა, აღასრულებს მოთხოვნას და არ გამოიყენებს ხანდაზმულობის შესაგებელს, კერძო სამართალში მოქმედი დისპოზიციურობისა და ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპებიდან გამომდინარე, არ არსებობს საფუძველი, ამგვარი შეთანხმება არ აღსრულდეს.¹⁰⁵

¹⁰⁴ აღნიშნული ნორმა გსკ-ში არ იყო ამგვარად ჩამოყალიბებული 2001 წელს განხორციელებულ ცვლილებამდე და მსგავს შემთხვევებში, სასამართლო ხანდაზმულობის შესაგებელს არ უშვებდა, თუ მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. *Taubner, Werner*, in *Reihe alternative Kommentare zum Bürgerlichen Gesetzbuch*, Band II, Luchterhand, 1980, § 242, Rn 32.

¹⁰⁵ კონკრეტულ შემთხვევაში მოიაზრება მხოლოდ მხარის განცხადება, რომ იგი არ გამოიყენებს ხანდაზმულობის შესაგებელს. აღნიშნული განსხვავდება ვალის არსებობის კონსტიტუტიური და დეკლარატორული

მართალია, სსკ-ის 146-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადების შეცვლა მხარეთა შეთანხმებით დაუშვებელია, თუმცა, მოვალის განცხადება, რომ იგი არ გამოიყენებს ხანდაზმულობის შესაგებელს, არ ცვლის ხანდაზმულობის ვადას. ამგვარი შეთანხმება კანონიერია და მისი დარღვევის შემთხვევაში, ორი ალტერნატივა არსებობს: (1) მოვალემ უნდა აანაზღაუროს შესაგებლის გამოყენებით მიყენებული ზიანი ან (2) სასამართლომ უნდა აუკრძალოს ამ შესაგებლის გამოყენება. ორივე შემთხვევაში, მოთხოვნის საფუძველი სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევაა, რაც გამომდინარეობს სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილიდან.

საინტერესოა შემთხვევა, როცა არ არსებობს მხარეთა შორის აშკარა შეთანხმება, მაგრამ მოვალის ქმედებებმა აფიქრებინა კრედიტორს, რომ მოვალე არ დაეყრდნობოდა ხანდაზმულობის შესაგებელს, ან არის სხვა გარემოებები, რაც ამ შესაგებლის გამოყენებას კანონსაწინააღმდეგოდ აქცევს. საქართველოს საერთო სასამართლოების საჯაროდ ხელმისაწვდომ გადაწყვეტილებებში ვერ იქნა მოძიებული ამგვარი შემთხვევა.

2.3.3. სახელმწიფოს ხანდაზმულობის შესაგებელი

ერთ-ერთ საქმეზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ხანდაზმულობის შესაგებლის დაყენება არღვევდა სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილით დადგენილ კეთილსინდისიერების პრინციპს. აღნიშნულ საქმეში მოპასუხე იყო სახელმწიფო,

აღიარებისგან, სადაც მხარე პირდაპირ აცხადებს, რომ მას აქვს ვალდებულება კრედიტორის წინაშე. სსკ-ის 341-ე მუხლში გაწერილია ვალის აღიარების ინსტიტუტი, რომელიც დამოუკიდებელი ხელშეკრულების სახეა, საჭიროებს ორმხრივი ნების გამოვლენას და შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოთხოვნაზე დამოუკიდებლად იწყება ხანდაზმულობის ვადის დენა (იხ.: სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და პრაქტიკა რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლო გამოცემა. წელი: 2011, ველი 1062). აღნიშნული ინსტიტუტის პარალელურად, არსებობს ვალის დეკლარატორული, კაუზალური აღიარება, რომელიც ძველი ვალდებულების შესრულებას ემსახურება და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან არ იწყება (თბილისის სააპელაციო სასამართლო საქმეები: 28/2202-14, 28/4400-14).

წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით.¹⁰⁶

საპროცესო ისტორია: მოსარჩელემ სარჩელი აღძრა 2014 წლის 26 მარტს და მოითხოვა 2010 წლის 6 მაისს დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილობა, რომლითაც მან სახელმწიფოს გადასცა მის საკუთრებაში არსებული გაზსადენი. აღნიშნულის საფუძველად მოსარჩელე უთითებდა, რომ ხელშეკრულება დადო შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომელთა მუქარისა და ზეწოლის გამო. 2013 წლის 18 თებერვლის განაჩენით ერთ-ერთი თანამშრომელი დამნაშავედ იქნა ცნობილი და შეეფარდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომა. ამავე წლის დადგენილებით, მოსარჩელე დაზარალებულად იქნა ცნობილი. მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უარყო მოთხოვნა და მისი ძირითადი შესაგებელი აღნიშნულ დავაში ის გახლდათ, რომ მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმული იყო სსკ-ის 1005-ე მუხლიდან გამომდინარე. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნის საფუძველი სსკ-ის 85-ე და 992-ე მუხლები, ხოლო ხანდაზმულობის შესაგებელი დაუშვებელი იყო, დააკმაყოფილა სარჩელი და სახელმწიფოს დააკისრა ზიანის ანაზღაურება მოსარჩელის მიმართ.

სამართლებრივი დასაბუთება: სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფოს კონკრეტულ დავაში არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, უფლება არ ჰქონდა, მიეთითებინა ხანდაზმულობის შესაგებელზე, რადგან სასამართლოს განმარტებით, ამით: *„სახელმწიფო თავს არიდებს საკითხების განხილვას სამართლებრივ ჭრილში, რაც არ შეესაბამება მისი, როგორც საკუთრების უფლების გარანტორის ქცევის სტანდარტს“*.¹⁰⁷

უპირველესად, სასამართლომ დასვა ორი კითხვა: (1) კონკრეტულ დავაში, კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე, უნდა შეიზღუდოს თუ არა სახელმწიფო, როგორც საკუთრების

¹⁰⁶ აღნიშნულ საქმეში სასამართლომ განმარტებები გააკეთა სხვადასხვა მოთხოვნის საფუძველბთან მიმართებით. კვლევის ფარგლებში, ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ხანდაზმულობის შესაგებლის თაობაზე სასამართლოს მიგნებებსა და განმარტებებზე.

¹⁰⁷ საქმე №2/17071-14, 19/05/2015 თბილისის საქალაქო სასამართლო.

კონსტიტუციური გარანტი, ხანდაზმულობაზე მითითების უფლებაში, როდესაც სადავო სამართლებრივ ურთიერთობაში ის მონაწილეობს, როგორც საკუთრების უფლების სავარაუდო ხელმყოფი.¹⁰⁸ (2) ხოლო თუ პასუხი დადებითია, ხომ არ მოხდება ამით კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში მოქმედი თანასწორობის პრინციპის ხელყოფა.¹⁰⁹

აღნიშნულის პარალელურად, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ზოგადად, სახელმწიფო, როგორც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, სარგებლობს ხანდაზმულობაზე მითითების უფლებით და სასამართლოს მხრიდან ამ უფლებაში ჩარევა განპირობებული უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნებით.¹¹⁰

სასამართლომ მოიხმო სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი და განმარტა, რომ „კეთილსინდისიერების ინსტიტუტის ერთ-ერთი ფუნქციაა ზღუდის დაწესება, რომელიც მოიაზრებს არსებული უფლების გამოყენების აკრძალვას სამართლიანობის პრინციპის საწინააღმდეგოდ“.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო თავის „განსაკუთრებულ სტატუსს“, ე.ი. კონსტიტუციურ ვალდებულებებს ინარჩუნებს კერძოსამართლებრივ სივრცეშიც და როგორც სუვერენი და კონსტიტუციური ვალდებულებების მატარებელი, იგი შეზღუდულია სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტით.

შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ თავისი უფლების სამართლიანობის ფარგლებში რეალიზაცია განსაკუთრებულად სახელმწიფოს მოვალეობაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუკი ხანდაზმულობაზე მითითების სამოქალაქო უფლების რეალიზაცია შეუსაბამოა სახელმწიფოს არსთან და ეწინააღმდეგება მისი, როგორც კონსტიტუციური გარანტის არსს, სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს სახელმწიფოსთვის ამ უფლებით სარგებლობის შეზღუდვას: „ამგვარი შეზღუდვის სამართლებრივი ეფექტია, დაამკვიდროს სახელმწიფოს მიმართ მისი იურისდიქციის ფარგლებში, თითოეული პირის სამართლიანობისა და დაცულობის განცდა. ამიტომ, სახელმწიფო, რომელიც ფუნქციონირებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებით, ყველა სამოქალაქო

¹⁰⁸ იქვე.

¹⁰⁹ იქვე.

¹¹⁰ იქვე.

უფლებას უნდა ახორციელებდეს კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტის განსაკუთრებული დაცვით და დასაბუთებულად გამოიცილოს მის მიმართ არსებული პრეტენზიები, რომელიც კონსტიტუციური ვალდებულებების შინაარსიდან გამომდინარეობს. ამის საწინააღმდეგოდ, განსახილველ შემთხვევაში ხანდაზმულობაზე აპელირებით, სახელმწიფო თავს არიდებს საკითხების განხილვას სამართლებრივ ჭრილში, რაც არ შეესაბამება მისი, როგორც საკუთრების უფლების გარანტორის ქცევის სტანდარტს“.

სახელმწიფოსა და ნებისმიერ პირს შორის ურთიერთობები ყალიბდება ნდობის პირობებში, სადაც სახელმწიფო, როგორც ერთიანი მექანიზმი, საჯარო ფუნქციების განხორციელებით უზრუნველყოფს თითოეული ინდივიდის მშვიდობიან არსებობასა და განვითარებას. სასამართლო უთითებს, რომ მიუხედავად სამართალურთიერთობის კერძოსამართლებრივი ბუნებისა, კერძო სამართლის სუბიექტების მხრიდან, კონტრაქტი ძლიერი მხარის, სახელმწიფოს ქმედებებისადმი მოქმედებს კანონიერი ნდობის პრინციპი.¹¹¹ სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხანდაზმულობის ინსტიტუტით სარგებლობა, იქ, სადაც ამ უფლების გამოყენება ეწინააღმდეგება მისი კონსტიტუციური ვალდებულებების არსს, ანდა როდესაც სახელმწიფო მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური შინაარსის ქმედებით იძენს ქონებრივ სარგებელს სხვა პირის უფლების ხელყოფის ხარჯზე – დაუშვებელია. ამიტომ, ამ დავის ფარგლებში სახელმწიფო ვერ ისარგებლებს ამ ინსტიტუტზე მითითებით, რადგან მოსარჩელის სამართლებრივი პრეტენზია გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან მისი საკუთრების უფლების ხელყოფას სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით. სასამართლო იქვე აღნიშნავს, სახელმწიფოს მიმართ ყოველი ამგვარი აკრძალვა წარმოადგენს კონკრეტული შემთხვევის ფარგლებში შეფასების საგანს და უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ ლეგიტიმურ ინტერესებს.¹¹²

ქართული სასამართლო პრაქტიკისთვის ახალი არ არის, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს უფრო მაღალი სტანდარტით მოეთხოვება კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა.¹¹³ თუმცა, უფლების გამოყენების შემზღვევა

¹¹¹ საქმე №2/17071-14, 19/05/2015 თბილისის საქალაქო სასამართლო.

¹¹² საქმე №2/17071-14, 19/05/2015 თბილისის საქალაქო სასამართლო.

¹¹³ თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №2/18112-14.

გარემოებები ყოველი საქმის მიხედვით უნდა შეფასდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო ვერასდროს შეძლებს ხანდაზმულობის შესაგებლით სარგებლობას.

აღწერილი გადაწყვეტილება ქვემოთ გაანალიზებულია ხანდაზმულობის კონტექსტში და ღიად არის დატოვებული შესაძლო მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის საკითხი, ხომ არ შეიძლებოდა დავა იმგვარად გადაეწყვიტა, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი არ დამდგარიყო.

(1) ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საკითხი

ზემოთ აღწერილი დავის ფარგლებში, დაზარალებულმა პირმა მიმართა შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, აცნობა მათ მის მიმართ განხორციელებული დანაშაულის შესახებ და მოითხოვა გამოძიების დაწყება. უპირველესად, ასეთ დროს, მნიშვნელოვანია შეფასდეს, ხომ არ წარმოადგენს აღნიშნული ფაქტი საკმარის საფუძველს სსკ-ის 138-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის შეწყვეტისთვის. სსკ-ის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსთვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა სსკ-ის 138-ე მუხლის შესაბამისად, რა შემთხვევაში წყდება ხანდაზმულობა სახელმწიფო ორგანოსთვის მიმართვის გზით და სასამართლო ასკვნის, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის კონტექსტში მოთხოვნის სხვა საშუალებით დაკმაყოფილების მცდელობა მხოლოდ მოთხოვნათა იდენტურობის პირობებში გამოიწვევს მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას.¹¹⁴ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმე ეხებოდა კერძო პირთა შორის დავას, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რომელიც მოიცავდა მოტყუებას. სასამართლომ განმარტა, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის

¹¹⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე №28/4454-10, აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი განუხილველად დატოვა სუსგ-მ დაუშვებლობის გამო: ას-1010-1041-2011.

შემთხვევაში, პირის სისხლის სამართლებრივი წესით დასჯის მოთხოვნა არ გამოიწვევს მის მიმართ სასარჩელო წესით ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას, ვინაიდან მიუხედავად მოთხოვნის საფუძვლის იდენტურობისა, განსხვავებულია პასუხისმგებლობა, თანმდევი შედეგი და რაც მთავარია, კრედიტორის ნება.¹¹⁵ სასამართლოს განმარტებით, *სამოქალაქო უფლების დარღვევა, რომელიც არ შეეხება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებას, მისგან გამომდინარე მოთხოვნის განხილვისთვის კომპეტენტურ ორგანოს არ წარმოადგენს პროკურატურა და საგამომიებო ორგანოები.*

აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, საგამომიებო ორგანოსა და სასამართლოსთვის მიმართვა იდენტური და ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის გამომწვევი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნები იდენტურია და ორგანო – კომპეტენტური.

შესაბამისად, საინტერესო იქნებოდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, სანამ ხანდაზმულობის შესაგებლის გამორიცხვას დაადგენდა, ხომ არ იყო ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილი საგამომიებო ორგანოებისადმი მიმართვით, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში, უფლების მატარებელმა მიმართა სახელმწიფოს, რომელმაც დაარღვია მისი უფლება და შესაბამისად, სსკ-ის 89-ე მუხლის თანახმად, შეეცილა ჩუქების ნამდვილობაში და მისი მოლოდინი იყო, რომ შესაბამისი გამოძიების შემდეგ, სახელმწიფო დაუბრუნებდა ქონებას.¹¹⁶ ასეთ შემთხვევაში, აღარ იქნებოდა საჭირო ხანდაზმულობის შესაგებლის დაუშვებლობაზე მსჯელობა.

(2) სახელმწიფოს კეთილსინდისიერად მოქმედების ფარგლები

მნიშვნელოვანია, რომ ხანდაზმულობის შესაგებელი მხედველობაში მიიღება, მიუხედავად იმისა, მოთხოვნა ნამდვილია თუ არა, ხანდაზმულობას ექვემდებარება ყველა სუბიექტური მოთხოვნა, მათ შორის დელიქტური, რაც იმთავითვე გულისხმობს

¹¹⁵ იქვე.

¹¹⁶ გადაწყვეტილებაში არ არის ნახსენები, მიმართა თუ არა შეცილების ვადის ფარგლებში მოსარჩელემ საგამომიებო ორგანოს.

ვალდებული პირის გაუფრთხილებელ ან ბრალეულ ქმედებას.¹¹⁷ მუქარის საფუძველზე დადებული გარიგების შეცილება ერთწლიან ვადაშია შესაძლებელი, რაც ასევე მეტყველებს კანონმდებლის ნებაზე, ვადებით შებოჭოს ამა თუ იმ უფლების განხორციელება, მიუხედავად იმისა, ვალდებული პირის მოქმედება რამდენად მასშტაბურად არღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს.¹¹⁸

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ განხილული გადაწყვეტილება მაღალ სტანდარტს აწესებს, სახელმწიფო ორგანოების მხრიდან კეთილსინდისიერად მოქმედების მიმართ.

ნაშრომში შედარებითი სამართლის გაანალიზების შედეგად ნათელია, რომ ხანდაზმულობის შესაგებლის დაუშვებლობა, სხვადასხვა სისტემაში დამკვიდრებული პრაქტიკით, განპირობებულია ვალდებული პირის იმგვარი ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედებით, რამაც ხელი შეუშალა, შეაფერხა ან სხვაგვარად დააბრკოლა კრედიტორი უფლების დროული რეალიზაციისგან, ან აღნიშნული გამოწვეულია სხვა განსაკუთრებული გარემოებიდან.

შესაბამისად, ვალდებული პირის კეთილსინდისიერების საკითხი ფასდება კონკრეტული უფლების რეალიზაციასთან მიმართებით – სახელმწიფოს მხრიდან შესაგებლის დაყენება უნდა წარმოადგენდეს არაკეთილსინდისიერ მოქმედებას. აღნიშნული კუთხით, შესაძლოა იმას, რა შინაარსისაა თავად მოთხოვნა და მომდინარეობს თუ არა იგი რომელიმე სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის დანაშაულებრივი ქმედებიდან, საერთოდ არ უნდა მიენიჭოს მნიშვნელობა.

გადაწყვეტილებაში ღიად რჩება საკითხი, რამ გამოიწვია მოსარჩელის მიერ სარჩელის წარდგენის დაყოვნება – ნდობამ, რომელიც მას გაუჩინა სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლებმა, რომ საგამომიებო მოქმედებების შემდეგ მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდებოდა, თუ არსებობდა რაიმე სხვა გარემოებები, რაც სახელმწიფოს ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებას დაადასტურებდა.

¹¹⁷ შეად. სსკ-ის 992, 1008-ე მუხლები.

¹¹⁸ შეად. სსკ-ის 89-ე მუხლი.

(3) ვადა, რომლითაც შეზღუდულია სახელმწიფო, მიუთითოს ხანდაზმულობის შესაგებლზე

ასევე მნიშვნელოვანია, რომ თუ სასამართლო უშვებს გადაწყვეტილებაში მითითებული საფუძვლით, ხანდაზმულობის შესაგებლის დაყენების აკრძალვას იმგვარ შემთხვევებში, როცა მოპასუხე სახელმწიფო ორგანოა, მაშინ აუცილებელია ასევე დადგინდეს, რა ვადით ეზღუდება სახელმწიფოს ხანდაზმულობის შესაგებლის დაყენება. იქნებოდა თუ არა განსხვავებული სურათი, თუ ამგვარი მოთხოვნით მოსარჩელე სასამართლოს მიმართავდა არა ოთხი, არამედ ექვსი ან ათი წლის შემდეგ?

ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს სასამართლო გადაწყვეტილება არ პასუხობს. თუმცა, მეორე მხრივ, წამოსწევს სახელმწიფოს მიმართ განსაკუთრებული ნდობის არსებობის საკითხს და კანონიერი ნდობის პრინციპს. თუმცა, განსხვავებით საჯარო სამართლისგან, ნდობაზე მითითება არ უნდა გაკეთდეს ზოგადად და იგი განხილული უნდა იქნას კონკრეტულ სუბიექტთან მიმართებით – გაუჩინა თუ არა ნდობა ვალდებულმა ორგანომ/სახელმწიფომ პირს, რომ მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდებოდა ხანდაზმულობის ვადის გაუთვალისწინებლად? შეიძლება თუ არა ასეთი ნდობა ობიექტური დამკვირვებლის თვალსაწიერიდან ჰქონოდა მას? ამგვარ კითხვებზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, შესაძლებელია სახელმწიფოს, როგორც კერძო სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტს, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, შეეზღუდოს უფლების გამოყენება.

არ უნდა იქნას გაზიარებული მსჯელობა, რომ სახელმწიფოს ხანდაზმულობაზე მითითება კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, უნდა აკრძალოს მის ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანისას, როგორც საკუთრების უფლების დაცვის გარანტს. ამგვარი მიმართულებით დასაბუთების მცდელობის შემთხვევაში, სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ნებისმიერი მატერიალური მოთხოვნების მიმართ, ხანდაზმულობის შესაგებლის გამოყენებისას ყოველთვის შესაძლებელია მსჯელობა კონსტიტუციით დაცულ უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფაზე.

შესაბამისად, უფრო მიზანშეწონილია, ნებისმიერ სუბიექტს, იქნება აღნიშნული სახელმწიფო ორგანო თუ კერძო პირი,

ხანდაზმულობის შესაგებლის უფლება შეეზღუდოს ნაშრომში განხილული უფლების გამოყენების აკრძალვის პრინციპებიდან გამომდინარე. თუ შესაბამისი წინაპირობები არ არის სახეზე, სახელმწიფო, ისევე როგორც ნებისმიერი კერძო პირი, თავისუფალი უნდა იყოს, დააყენოს ხანდაზმულობის შესაგებელი. უფლების ბოროტად გამოყენება მხოლოდ იმ უფლებასთან მიმართებით უნდა იქნას განხილული, რომლის გამოყენებაც ხდება, და არა ვალდებული პირის მიერ შინაარსობრივად, სადავო ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში არსებული დარღვევის ხასიათთან მიმართებით.

3. უფლების გაქარწყლება ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე

კეთილსინდისიერების პრინციპისა და ურთიერთსაწინააღმდეგო ქცევის აკრძალვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია უფლების/მოთხოვნის გაქარწყლების დოქტრინა, რომელიც ანგლოამერიკულ და კონტინენტურ ევროპაში თითქმის პარალელურად განვითარდა.¹¹⁹ აღნიშნული შესაგებელი წარმოიშობა უფლების განხორციელების შეუსაბამო ვადის გადაცილების ან შესაგებლის დაყენების ვადის გაჭიანურების დროს.¹²⁰

3.1 *Laches*

ინგლისურ სამართალში არსებული *laches* დოქტრინა გულისხმობს, რომ ის, ვინც თავისი მოთხოვნის აღსრულებას მოითხოვს, უნდა

¹¹⁹ შეად.: *Palmer, V. Vernon*, The many guises of Equity in a mixed Jurisdiction: A functional view of Equity in Louisiana, 69 Tul. L. Rev. 7 1994-1995; *Heriot, L. Gail*, A Study in the Choice of Form: Statutes of Limitation and the Doctrine of Laches, 1992 BYU L. Rev. 917 1992; *Heinrichs* in Palandt, §242, Rn 87-110.

¹²⁰ *Palmer, V. Vernon*, The many guises of Equity in a mixed Jurisdiction: A functional view of Equity in Louisiana, 69 Tul. L. Rev. 7 1994-1995, 61. *ob*: *Warren v. Copp*, 48 La. Ann. 810, 815, 19 So. 746,747 (1896)(„It has been the uniform jurisprudence in this state that, if there has been laches or negligence, that destroyed the title to relief“); *Succession of Thompson*, 42 La. Ann. 118, 122, 7 So. 477, 478 (1890); *Swain v. Sampson & Keene*, 6 La. Ann. 799, 800-01 (1851); *Norris v. Fristoe*, 3 La. Ann. 646, 647 (1848).

მოქმედებდეს სწრაფად და გულმოდგინედ.¹²¹ თუ მოსარჩელეს „თავის უფლებებზე სძინავს“, მაშინ როცა შეეძლო ემოქმედა და დაეცვა უფლება, შესაძლოა ვალდებულმა პირმა აღძრას *laches* შესაგებელი, ხოლო სასამართლომ უარი უთხრას მოთხოვნის განხორციელებაზე.¹²² ყველაზე ძველი წყარო, სადაც აღნიშნული ინსტიტუტი არის ნახსენები, ინგლისში 1311 წლით თარიღდება.¹²³

ამ დოქტრინის გამოყენებისთვის, მხოლოდ მოსარჩელის ხანგრძლივი უმოქმედობა არ არის საკმარისი და ხანდაზმულობისგან განსხვავებით, იგი განვითარდა უსამართლო შედეგის თავიდან აცილების მიზნით.¹²⁴ ინგლისის მსგავსად, ამ დოქტრინამ აღიარება ჰპოვა აშშ-შიც, სადაც მას *estoppel by laches* უწოდებენ.¹²⁵

იგი განსხვავდება ხანდაზმულობის შესაგებლისგან, რადგან არ არის დამოკიდებული კანონით დადგენილი ვადის გასვლაზე. იგი უფრო მცირე ვადის დროს გამოიყენება და საჭიროებს მტკიცებულებას, რომ ამგვარი ვადა გადაცილებით უფლების განხორციელებამ მეორე მხარეს აფიქრებინა, რომ მის მიმართ უფლება აღარ განხორციელდებოდა.¹²⁶ შესაბამისად, *Laches* გამოყენებისთვის, მხარემ უნდა აჩვენოს რომ: (1) პირმა შეუსაბამოდ გადააცილა თავისი მოთხოვნის დაყენების ვადას; (2) კუთილსინდისიერების პრინციპთან შეუსაბამოა მეორე მხარისადმი ამდენი ხნის უმოქმედობის შემდეგ მოთხოვნის დაყენება¹²⁷.

3.2 *Verwirkung*

თავის მხრივ, გერმანიაში სასამართლო პრაქტიკამ განავითარა *Verwirkung*-ის დოქტრინა, რომელიც 1877 წლის გადაწყვეტილებაში

¹²¹ *Vaquer, Antoni*, *Verwirkung versus Laches: A Tale of Two Legal Transplants*, 21 *Tul. Eur. & Civ. L.F.* 53 2006, 54.

¹²² იქვე.

¹²³ იქვე, 55.

¹²⁴ *Heriot, L. Gail*, *A Study in the Choice of Form: Statutes of Limitation and the Doctrine of Laches*, 1992 *BYU L. Rev.*, 917.

¹²⁵ იქვე.

¹²⁶ *Palmer, V. Vernon*, *The many guises of Equity in a mixed Jurisdiction: A functional view of Equity in Louisiana*, 69 *Tul. L. Rev.*, 1994-1995, 58.

¹²⁷ *Vaquer, Antoni*, *Verwirkung versus Laches: A Tale of Two Legal Transplants*, 21 *Tul. Eur. & Civ. L.F.* 53 2006, 57.

გამოიყენა სასამართლომ.¹²⁸ თუმცა, გერმანელ სამართლის მკვლევართა ერთი ნაწილის მიხედვით, იგი ჯერ კიდევ რომის სამართალს, ხოლო მეორე ნაწილის აზრით, გროციუსის ეპოქას უკავშირდება.¹²⁹ გერმანიაში, გაქარწყლება (*Verwirkung*) არ არის სამართლის დამოუკიდებელი ინსტიტუტი, მას მხოლოდ პროცედურული ეფექტი აქვს და კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევისა და ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების ერთ-ერთ სახედ განიხილება.¹³⁰ სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, მისი ეფექტია უფლების სამართლებრივი შინაარსის შეზღუდვა და მოთხოვნის მომსპობი შესაგებელია, ხოლო სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს თავისი ვალდებულებიდან გამომდინარე (*ex officio*).¹³¹ ვალდებულ პირს აქვს შესაბამისი გარემოებების არსებობის მტკიცების ტვირთი.¹³²

უფლების გაქარწყლება გულისხმობს, რომ კრედიტორი კარგავს მოთხოვნას, თუ იგი მას დიდი ხნის განმავლობაში არ გამოიყენებს ისე, რომ ვალდებული პირი აღნიშნულზე დაყრდნობით, პირის ქცევიდან გამომდინარე ირწმუნებს, რომ ამ უფლებას პირი მომავალშიც არ გამოიყენებს.¹³³ მოთხოვნის მქონე პირის მოქმედება ობიექტურად ფასდება და მთავარი კრიტერიუმია, ობიექტური გადასახედიდან, ვალდებულ პირს შეეძლო თუ არა, ევარაუდა და იმაზე დაყრდნობით ემოქმედა, რომ კრედიტორი მოთხოვნის რეალიზებას აღარ მოახდენდა, შესაბამისად, მისთვის შესრულების მოთხოვნა აღარ არის გონივრული.¹³⁴

გერმანიაში, ნიურნბერგის ფედერალურმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო უფლების გაქარწყლება, როცა სტომატოლოგმა შესაბამისი მკურნალობის ჩატარების შემდეგ, საპატიო მიზეზის გარეშე, 4 წლით დააყოვნა გადახდის მოთხოვნის გაგზავნა პაციენტთან. ამ მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მოთხოვნა ხანდაზმული არ იყო,

¹²⁸ *Vaquer, Antoni*, *Verwirkung versus Laches: A Tale of Two Legal Transplants*, 21 *Tul. Eur. & Civ. L.F.* 53 2006, 61.

¹²⁹ იქვე.

¹³⁰ *Heinrichs* in *Palandt*, § 242, Rn 90.

¹³¹ იქვე, Rn 96.

¹³² BGH NJW 58, 1188.

¹³³ *Heinrichs* in *Palandt*, § 242, Rn 87.

¹³⁴ RGZ 155, 152; RGZ 158 [108].

რადგან ვადა აითვლებოდა შეტყობინების მიღების მომენტიდან. სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, არ არსებობს კანონით დადგენილი ვადა, რომელშიც ექიმმა გადახდის მოთხოვნა უნდა გაუგზავნოს პაციენტს. ზოგადი ანალოგიური ქცევის სტანდარტიდან გამომდინარე, მიღებული წესია, რომ ექიმი პაციენტს შეტყობინებას ყველაზე გვიან, კალენდარული წლის ბოლოს უგზავნის. ექიმის მიერ ამგვარმა დაყოვნებამ, პაციენტს გონივრულად აფიქრებინა, რომ მოთხოვნის რეალიზებას იგი აღარ აპირებდა.¹³⁵

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დოქტრინის გამოყენების წინაპირობებია:

(1) გარკვეული დროის გასვლა, თუმცა განსხვავებით ხანდაზმულობის ვადებისგან, ვადა წინასწარ დადგენილი არ არის. ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების მიხედვით ფასდება ის ვადა, რომლის გასვლა საკმარისია ამ შემადგენლობის არსებობისთვის.¹³⁶ იმის მიხედვით, რამდენად მძიმეა მოსარჩელის მიერ კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა, იმდენად უფრო მოკლე ვადა არის საკმარისი, რათა დაკმაყოფილდეს ეს წინაპირობა.¹³⁷ მეორე მხრივ, მხოლოდ დიდი ხნის გასვლა არ არის საკმარისი საფუძველი.¹³⁸ რასაკვირველია, უფლების გაქარწყლება, ისევე როგორც laches-ი, უფრო მოკლე ვადაში დგება, ვიდრე ხანდაზმულობა. როგორც წესი, მოსარჩელეს აქვს უფლება, ისარგებლოს ხანდაზმულობის ვადის სრული მოცულობით, რაც არ ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს.¹³⁹

(2) გარემოებების არსებობა, როცა მოსარჩელე უმოქმედოა. მთელი ზემოთ აღწერილი პერიოდის განმავლობაში მოსარჩელე უნდა იყოს უმოქმედო, ბრალის არსებობა არ არის აუცილებელი.¹⁴⁰

¹³⁵ OLG Nürnberg, Beschluss vom 9. Januar 2008 · Az. 5 W 2508/07.

¹³⁶ Taubner, Werner, in Reihe alternative Kommentare zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band II, Luchterhand, 1980, § 242, Rn 35-36. Vaquer, Antoni, Verwirkung versus Laches: A Tale of Two Legal Transplants, 21 Tul. Eur. & Civ. L.F. 53 2006, 61.

¹³⁷ Vaquer, Antoni, Verwirkung versus Laches: A Tale of Two Legal Transplants, 21 Tul. Eur. & Civ. L.F. 53 2006, 61-62.

¹³⁸ იქვე.

¹³⁹ იქვე.

¹⁴⁰ Heinrichs in Palandt, §242, Rn 95; Vaquer Antoni, Verwirkung versus Laches: A Tale of Two Legal Transplants, 21 Tul. Eur. & Civ. L.F. 53 2006, 61.

ამასთან, უფლების მატარებელი პირი ისეთი გარემოებების არსებობისას უნდა რჩებოდეს უმოქმედოდ, როცა ობიექტურად მოსალოდნელია, რომ თუ პირს მოთხოვნის აღსრულება სურს, იგი არ მოიქცევა ამგვარად.¹⁴¹

(3) მოპასუხეს უნდა ჰქონოდა ნდობის ობიექტური საფუძველი, რომ მოთხოვნა აღარ განხორციელდებოდა და კრედიტორი არ ისახავდა მიზნად მის აღსრულებას. შესაბამისად, დაცულია მოპასუხის ლეგიტიმური ნდობა.¹⁴² ნდობა ლეგიტიმურია, თუ ვალდებულ პირს არ მიუძღვის როლი მოსარჩელის უმოქმედობაში და სახეზეა ნდობა მოთხოვნის არარსებობის მიმართ.¹⁴³ ობიექტურად, მოსარჩელის მიერ სარჩელის წარდგენა იმგვარად უნდა ცვლიდეს ვალდებულ პირის მდგომარეობას, რომ გონიერი დამკვირვებელი აღნიშნულს კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე უსამართლოდ მიიჩნევდა.¹⁴⁴ უფლების გაქარწყლება არ მოხდება, თუ კრედიტორის მიერ მოთხოვნის დროულ დაყენებას ხელი ვალდებულმა პირმა იმით შეუშალა, რომ კრედიტორი ენდობოდა მის კეთილსინდისიერებას, ხოლო ვალდებულმა პირმა თავისი ვალდებულებები დაარღვია.¹⁴⁵ ასეთ შემთხვევაში, ყურადღება აღარ ექცევა იმ ფაქტს, რომ კრედიტორმა თავის მხრივ, დროულად არ შეამოწმა ვალდებულ პირის ქმედებები.¹⁴⁶

სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ *Verwirkung*-ი წარმოადგენს ხანდაზმულობის ვადების ვიწრო ტელეოლოგიური განმარტების შედეგს.¹⁴⁷ დასახელებულ დოქტრინას ვიწრო

¹⁴¹ LAG Köln, Urteil vom 3. Juni 2003 – 13 (3) Sa 2/03.

¹⁴² BGHZ 25, 47, 51. ასევე: *Taubner Werner* in Reihe alternative Kommentare zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band II, Luchterhand, 1980, § 242, Rn 35-36.

¹⁴³ BGH JurionRS 1978, 13022, Urt. v. 21.12.1978, Az.: III ZR 93/77.

¹⁴⁴ BGH Urt. v. 20.05.1988, Az.: 2 AZR 711/87.

¹⁴⁵ BGH Urt. v. 27.06.1957, Az.: II ZR 15/56, BGH, Urteil vom 18. 10. 2004 – II ZR 352/02.

¹⁴⁶ BGH Urt. v. 27.06.1957, Az.: II ZR 15/56, საქმე ეხებოდა საზოგადოებაში დირექტორად არჩეული პარტნიორის მიერ უფლებამოსილებების გადამეტებას, როცა სხვა პარტნიორები ენდობოდნენ მის კეთილსინდისიერებას და წლების განმავლობაში არ იყენებდნენ პარტნიორის კანონით დადგენილ უფლებას, შეემოწმებინათ კომპანიის მიმდინარე საქმიანობა.

¹⁴⁷ *Taubner, Werner*, in Reihe alternative Kommentare zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band II, Luchterhand, 1980, § 242, Rn 34.

გამოყენება აქვს და მხოლოდ ისეთ სარჩელს აბრკოლებს, რომელიც უხეშად არღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს.¹⁴⁸ მას შემდეგ, რაც გერმანიაში გსკ-ში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, რაც მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადები შესამჩნევად შემცირდა, *Verwirkung*-ის გამოყენების არეალი შესაბამისად უფრო შეიზღუდა და ნაკლებად აქტუალური გახდა.¹⁴⁹

გერმანული *Verwirkung*-ის ინსტიტუტი გაზიარებულია ესპანეთსა და პორტუგალიაში; საბერძნეთი, ესტონეთი და ლატვია ასევე იზიარებენ ამ დოქტრინას, როგორც გერმანული გავლენის ქვეშ მყოფი სამართლებრივი სისტემები.¹⁵⁰ იტალიაშიც არსებობს ანალოგიური ინსტიტუტი, ოდნავ განსხვავებული დასაბუთებით.¹⁵¹

უნიდროას პრინციპებში ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების არარსებობის ერთ-ერთ მაგალითად დასახელებულია შემდეგი ფაბულა:

ა-ს და ბ-ს შორის გაფორმებული სესხის ხელშეკრულების შესრულების ვადა მოსულია, მაგრამ ა არ ითხოვს სესხის დაბრუნებას და არ ახორციელებს ქმედებას ხელშეკრულების აღსასრულებლად. ბ ფიქრობს, რომ ა-მ მას ვალი აპატია. ა-ს თავის მხრივ, არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ ბ-ს აღნიშნული ეფიქრა. ა მოგვიანებით ითხოვს გადახდას. ბ-ს არ შეუძლია დააყენოს ა-ს უმოქმედობის შესაგებელი.¹⁵²

¹⁴⁸ *Heinrichs* in Palandt, §242, Rn 90-91; *Vaquer, Antoni*, *Verwirkung versus Laches: A Tale of Two Legal Transplants*, 21 Tul. Eur. & Civ. L.F. 53 2006, 70.

¹⁴⁹ *Heinrichs* in Palandt, §242, Rn 97. გერმანიაში ზოგადი ხანდაზმულობის ვადა 30 წელი იყო და უმეტეს მოთხოვნებსა და უფლებებზე აღნიშნული ვადა ვრცელდებოდა. აღნიშნულის გამო, აუცილებელი გახდა კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ისეთი სარჩელების შეზღუდვა, რომელიც მართალია, ფორმალურად ჯდებოდა ხანდაზმულობის ვადებში, თუმცა მოვალისთვის ამ მოთხოვნის შესაბამისად რაიმე ვალდებულების დაკისრება გონივრული და სამართლებრივად გამართლებული არ იქნებოდა.

¹⁵⁰ *Vaquer, Antoni*, *Verwirkung versus Laches: A Tale of Two Legal Transplants*, 21 Tul. Eur. & Civ. L.F. 53 2006, 64-65, პორტუგალიაშიც ფართოდ არის აღნიშნული დოქტრინა აღიარებული და ძირითადი მსჯელობა მიმდინარეობს მისი შესატყვისი სიტყვის დამკვიდრების თვალსაზრისით.

¹⁵¹ *Vaquer, Antoni*, *Verwirkung versus Laches: A Tale of Two Legal Transplants*, 21 Tul. Eur. & Civ. L.F. 53 2006, 66.

¹⁵² *Unidroit*, 1.8 Art, Co.2, example 6.

ცხადია, რომ ამგვარი მაგალითის პარალელურად, უნიდროას პრინციპებიც ეთანხმება და იზიარებს იგივე *laches*-ის თუ *Verwirkung*-ის დოქტრინას, რომელიც გამომდინარეობს ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედების აკრძალვიდან.

ორივე დოქტრინა თანამედროვე სამართალშიც ეფექტიან და კარგ გადაწყვეტად მიიჩნევა, უფლების უსამართლო გამოყენების წინააღმდეგ, აძლევს რა მოპასუხეს პროცედურულ შესაგებელს სარჩელის შესაჩერებლად.¹⁵³ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით, სრულყოფენ ხანდაზმულობის ინსტიტუტს, რომელიც დაფუძნებულია ფორმალურად დაწესებული ვადის გასვლაზე, მიუხედავად სამართლიანობისა და მხარეთა ქცევისა.¹⁵⁴

ქართულ სამართალში, ანალოგიური საკითხი არ განუხილავს საერთო სასამართლოებს. თუმცა, ისევე, როგორც ხანდაზმულობის შესაგებლის დაუშვებლობა, უფლების გვიანი რეალიზაცია, როცა ვალდებულ პირს სათანადო ნდობა ჰქონდა, შესაძლოა კეთილსინდისიერების პრინციპის მიხედვით, დაუშვებლად იქნას მიჩნეული, შესაბამისი საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.

დასკვნა

ნაშრომში გაანალიზებული საკითხები ცხადყოფს, რომ ნებისმიერი უფლება კერძო და საჯარო სამართლის სუბიექტებმა უნდა გამოიყენონ კეთილსინდისიერად. აღნიშნულის საწინააღმდეგო მოქმედებისთვის მათ შეიძლება შეეზღუდოთ ამ უფლების გამოყენება.

მართალია, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მწირია ფართო გაგებით უფლების ბოროტად გამოყენების შეზღუდვის შემთხვევები, თუმცა, მხარის მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში, მოთხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებით გონივრულია მისი გამოყენება, იმ პირობებში, როდესაც ხანდაზმულობის დენის შეჩერების საფუძვლად სსკ-ში არ არის მითითებული მხარეთა მოლაპარაკების პროცესი და მათ შორის, სასამართლოს გარეშე მედიაცია.

¹⁵³ *Vaquer, Antoni*, *Verwirkung versus Laches: A Tale of Two Legal Transplants*, 21 *Tul. Eur. & Civ. L.F.* 53 2006, 71.

¹⁵⁴ იქვე, 72.

ამავდროულად, შედარებითი სამართლის ანალიზი აჩვენებს, რომ ერთმანეთისგან არ იმიჯნება, ვის ეკრძალება უფლების გამოყენება – სახელმწიფოს, როგორც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს თუ ნებისმიერ სხვა კერძო კომპანიას ან ფიზიკურ პირს. მთავარია, უფლების გამოყენება იყოს კეთილსინდისიერების საწინააღმდეგო.

საქართველოს სასამართლოები უფლების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგოდ იყენებენ სსკ-ის 115-ე მუხლს უფრო ფართო გაგებით, განსხვავებით გერმანიისგან, სადაც ანალოგიურ შემთხვევაზე გსკ-ის 242-ე მუხლი იქნებოდა გამოყენებული. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოს ჰქონდა მცდელობა, უსამართლო შედეგის თავიდან აცილების მიზნით, დაყრდნობოდა სსკ-ის 115-ე და მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების პრინციპს, თუმცა, მისი გამოყენებისას, უმჯობესი იქნებოდა უფრო დეტალურად მომხდარიყო ხანდაზმულობის შესაგებლის, როგორც უფლების ბოროტად გამოყენების წინაპირობების განხილვა, მათ შორის, მოსარჩელის ნდობის საკითხის. მართალია, სახელმწიფოსადმი ნდობის ელემენტი სასამართლომ გადაწყვეტილებაში გააჟღერა, თუმცა, საბოლოოდ, არ დააკონკრეტა იგი მოსარჩელეზე, მის ვალდებულების შესრულებისადმი ნდობაზე, სახელმწიფოს მიერ დავის ან ხანდაზმულობის შესაგებლის დაყენების გარეშე.